

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities  
უნგრეთის საელჩო საქართველოში  
Embassy of Hungary in Georgia  
თსუ მუზეუმი  
TSU Museum

მანანა სალადის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი  
საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია  
International Scientific Conference Dedicated to the 80th Anniversary  
of the Birth of Manana Saladze

**ქართულ-უნგრული ლიტერატურულ-კულტურული  
ურთიერთობები  
Georgian-Hungarian Literary-Cultural Relations**

თეზისები / Abstracts

მარტი 16-17 March  
თბილისი 2026 Tbilisi



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities  
უნგრეთის საელჩო საქართველოში  
Embassy of Hungary in Georgia  
ოსუ მუზეუმი  
TSU Museum

**მანანა სალადის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი  
მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია  
ქართულ-უნგრული ლიტერატურულ-კულტურული  
ურთიერთობები**

**International Scientific Conference Dedicated to the 80th  
Anniversary of the Birth of Manana Saladze  
Georgian-Hungarian Literary-Cultural Relations**

**თ ე ზ ი ს ე ბ ი  
A b s t r a c t s**

მარტი 16-17 March  
თბილისი 2026 Tbilisi

სამეცნიერო და საორგანიზაციო კომიტეტი:

შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის დოქტორი არპად ელემი  
(თავმჯდომარე)  
პროფესორი დარეჯან თვალთვაძე  
პროფესორი დარეჯან გარდავაძე  
ასოცირებული პროფესორი ეკატერინე ნავროზაშვილი  
ასოცირებული პროფესორი ლევან სილაგაძე  
ფილოლოგიის დოქტორი ნინო პოპიაშვილი  
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი მაია გურაბანიძე  
ისტორიის დოქტორი მანანა ლილუაშვილი  
დოქტორანტი თამარ მღებრიშვილი

**Scientific and Organizing Committee:**

Doctor in Comparative Literature Árpád Éles (Chairman)  
Professor Darejan Tvaltavadze  
Professor Darejan Gardavadze  
Associate Professor Ekaterine Navrozashvili  
Associate Professor Levan Silagadze  
Doctor of Philology Nino Popiashvili  
Doctor of Art History Maia Gurabanidze  
Doctor of History Manana Liluashvili  
PhD Student Tamar Mghebrishvili

რეგლამენტი:

მობსენება სექციის სხდომაზე – 20 წუთი  
დისკუსია – 5 წუთი  
სამუშაო ენები: ქართული, ინგლისური

**Time Limit:**

Presentation at the section meeting – 20 minutes  
Participation in discussions – 5 minutes  
Working languages – Georgian and English

ზურაბ ბარათაშვილი  
Zurab Baratashvili  
არპად ელეში  
Árpád Éles

უნგრული ენის ბგერითი სისტემის ქართულ ენაზე  
ტრანსლიტერაცია  
Transliteration of the Hungarian Phonetic System into  
Georgian

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ტრანსლიტერაცია და ტრანსკრიფცია, უნგრული  
ორთოგრაფია და ფონოლოგია, ფონემური და გრაფემული შესაბამისობა  
Keywords: transliteration and transcription, Hungarian orthography and phonology,  
phonemic and graphemic correspondence

მოხსენებაში განვიხილავთ უნგრული ენის სიტყვათა (ძირითადად, საკუთარ სახელთა) ქართულად ჩაწერის პრინციპებს. ეს ითვალისწინებს როგორც უნგრული ორთოგრაფიის, ასევე ფონოლოგიური სისტემის მონაცემების გათვალისწინებასა და ურთიერთშეჯერებას.

ზოგადად, ტრანსლიტერაციის პრინციპები დამოკიდებულია სიტყვათა სესხების ტრადიციაზე. ტიპური მაგალითების მიხედვით, შესაძლებელია ამა თუ იმ გრაფემათა და ფონემათა შესატყვისების დადგენა და განზოგადება უფრო იშვიათ, მარგინალურ, მაგალითებზე. რა თქმა უნდა, გამოწვევები ყოველთვის არსებობს და ტრანსლიტერაციის წესებსა და პრინციპებთან ერთად აუცილებელია მათი მითითება სიის სახით.

ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შეძლებისდაგვარად დავადგინეთ შესატყვისობა უნგრულ და ქართულ ფონემებსა და გრაფემებს შორის. სირთულეს ქმნის ხმოვანთა რაოდენობა (სულ – 14), რომელთა ქართულ შესატყვისად გვაქვს მხოლოდ ხუთი. მოკლე ხმოვნებს, რომელთაც, პერცეფციული თვალსაზრისით, მეტ-ნაკლებად შესაბამისი ხმოვნები მოეპოვებათ ქართულში, მარტივად შემდეგი ხმოვნები შეესატყვისება (a /a/ – „ა“, e /e/ „ე“, i /i/ – „ი“, o /o/ – „ო“, u /u/ – „უ“). ტრადიციის გათვალისწინებით (და ქართულში არარსებობით) გრძელ ხმოვნებს შესაბამისი მოკლე ხმოვნები შევუსატყვისეთ, ი /y/ ხმოვნის შესატყვისად კი (ლაბიალიზაციის გათვალისწინებით, როგორც ეს გერმანულისა და სხვა ევროპული ენების ტრანსლიტერაციის დროს გვაქვს) „იუ“ ხმოვანთა მიმდევრობა მივიჩნიეთ. ფუნქციურად დატვირთულია „ე“ ხმოვანი, რადგან უნგრულის ოთხ ფონემასა და გრაფემას შეესატყვისება: e /e/, é /e:/, ő /ø/, ő /ø:/.

თანხმოვნებს (25 ფონემა, 30 გრაფემა) ძირითადად შევუსატყვისეთ პერცეფციულად და აკუსტიკურად მსგავსი თანხმოვნები. ყრუ ხშულ-მსკდომები (p /p/, t /t/, k /k/) არაასპირირებული თანხმოვნებია და ქართულად ყრუ მკვეთრი თანხმოვნები („პ“, „ტ“, „კ“) შეესაბამება და არა ყრუ ფშვინვიერი თანხმოვნები („ფ“, „თ“, „ქ“). პალატალიზებული თანხმოვნები ქართულში ორი გრაფემის/ფონემის საშუალებით ჩაიწერება: gy /j/ – „დი“ (და არა „გი“, რადგან პერცეფციულად წინა რიგის თანხმოვნებთან უფრო ახლოს არის, ვიდრე უკანა რიგის თანხმოვნებთან –

განიხილება d-ს „რბილი“ ვარიანტი), ყრუ კორელატი ty /c/ – „ტი“ და ასევე, ნაზალური ny /ŋ/ – „ნი“.

დიდ სირთულეებს ქმნის ly დიგრაფის გადმოტანა, რადგან ხან იკითხება როგორც /j/ (*Gergely* „გერგეი“, *Gulyás* „გულიაშ-ი“), ხან კი – /li/ (*Jékely* „იეკელი“, *Moholy-Nagy* „მოჰოლი-ნადი“). უნგრული წარმოთქმის გაუთვალისწინებლად ქართველი მკითხველისთვის რთულია დადგენა, ly მიმდევრობაში წარმოითქმება თუ არა /li/.

ზემომოყვანილი მაგალითების გათვალისწინებით, ჩანს, რომ ტრანსლიტერაცია ეფუძნება ტრანსკრიფციას/წარმოთქმას (ძირითადად, ფონემურს) და არა ორთოგრაფიას.

The paper examines the principles for transcribing Hungarian words, primarily proper nouns, into Georgian. This requires consideration and reconciliation of both Hungarian orthography and its phonological system.

In general, transliteration principles depend on the tradition of word borrowing. Based on typical examples, it is possible to establish and generalise correspondences between specific graphemes and phonemes, extending these to rarer or marginal cases. Naturally, exceptions exist and must be listed alongside the transliteration rules and principles.

Based on this information, we have established, as far as possible, the correspondences between Hungarian and Georgian phonemes and graphemes. A significant challenge arises from the number of vowels (14 in total), for which Georgian has only five equivalents. Short vowels that have perceptually corresponding vowels in Georgian are easily matched as follows: (a /ɒ/ – „ა“, e /ɛ/ – „ე“, i /i/ – „ი“, o /o/ – „ო“, u /u/ – „უ“). In line with tradition, and due to their absence in Georgian, long vowels have been matched with their corresponding short vowels. For the vowel ü /y/, taking labialisation into account (as seen in the transliteration of German and other European languages), the vowel sequence „იუ“ (iu) was considered appropriate. The Georgian vowel „ე“ (e) is functionally overloaded, as it corresponds to four Hungarian phonemes and graphemes: e /ɛ/, é /ɛː/, ö /ø/, and ő /øː/.

Regarding consonants (25 phonemes, 30 graphemes), we have primarily matched them with perceptually and acoustically similar consonants. The voiceless stops (p /p/, t /t/, k /k/) are non-aspirated and correspond to the

Georgian voiceless ejective consonants („პ“/pʰ/, „ტ“ /tʰ/, „კ“ /kʰ/) rather than the voiceless aspirated consonants („ფ“ /pʰ/, „თ“ /tʰ/, „ქ“ /kʰ/). Palatalised consonants are written in Georgian using two graphemes or phonemes: gy /ɟ/ – „ღი“ (*dî*) (and not „გი“ (*gî*), as perceptually it is closer to consonants with front places of articulation than those with back places of articulation – it is considered a “soft” variant of *d*), its voiceless correlate ty /c/ – „ტი“ (*tî*), and the nasal ny /ɲ/ – „ნი“ (*nî*).

Finding the correspondence for the digraph *ly* presents considerable difficulty, as it is sometimes read as /j/ (*Gergely* – გერგეი (*gerge-i*), *Gulyás* – გუიაში-ი (*guiaʃi*) and sometimes as /li/ (*Jékely* – იეკელი (*iekeli*), *Moholy-Nagy* – მოჰოლი-ნადი (*moholi-nadi*)). Without knowledge of Hungarian pronunciation, it is difficult for a Georgian reader to determine whether the /l/ is pronounced in the *ly* sequence.

From the examples above, it is clear that transliteration is based on transcription or pronunciation (primarily phonemic) rather than orthography.

დალილა ბედიანიძე  
Dalila Bedianidze

ოსტატისა და შეგირდის ზღაპრის უნგრული და ქართული  
ვერსიები  
Hungarian and Georgian Versions of the Folktale  
of the Master and His Pupil

თსუ შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი  
TSU Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

საკვანძო სიტყვები: უნგრული ზღაპარი, ქართული ზღაპარი, ფოლკლორი,  
საერთაშორისო სიუჟეტი

**Keywords:** Hungarian folktale, Georgian folktale, folklore, international plot

ქართული ხალხური ზღაპრები უძველესი წარმოშობისაა და არაერთი ქვეყნის ზღაპრებთან იჩენს მსგავსებას, რაც უმეტესად საერთაშორისო გავრცელების საზღაპრო სიუჟეტების გამოყენებით არის გამოწვეული. მათ შორის არის ქართული ჯადოსნური ზღაპარი „ოსტატი და შეგირდი“ (ვარიანტში „ზღაპარი ოსტატისა და შეგირდის“), რომელიც მსგავსია უნგრული ხალხური ზღაპრისა „ობ! ობ!“. მათი ლიტერატურული და ფოლკლორული წყაროები ფიქსირებულია სიუჟეტთა საერთაშორისო კატალოგში „The Types of International Folktales“ (ჰელსინკი, 2004). ზღაპრის ეს ტიპი კლასიფიცირებულია, როგორც ATU 325 *The Sorcerer's Apprentice*.

ზემოთ ხსენებული ქართული ზღაპარი შეტანილია ქართული ხალხური ზღაპრების პირველ კრებულში, რომელიც ლადო აღნიაშვილმა გამოსცა 1890 წელს, ხოლო ლადო აღნიაშვილის კრებულის საფუძველზე მარჯორი უორდროპმა თარგმნა და გამოსცა ქართული ხალხური ზღაპრების კრებული 1894 წელს. მათ შორისაა ოსტატის და შეგირდის ამბავი (Georgian Folk Tales, translated by Marjory Wardrop. London: David Nutt, 1894).

როგორც უნგრული ზღაპარი „ობ! ობ!“, ასევე ქართული ზღაპრები ოსტატსა და შეგირდზე შედგება სამი ძირითადი ეპიზოდისგან:

1. ღარიბი ცოლ-ქმრის ერთადერთი ვაჟიშვილი, დაახლოებით, ათი წლის ასაკში სახლიდან მიდის, რათა რაიმე ხელობა შეისწავლოს. გზად წყლის პირას მამამისი წყალს აქებს: „ახ, რა კაი წყალი ხარ“ (ან – „ვახ, რა კაი წყალი ხარ“). უნგრულ ზღაპრებში ვაჟი შიმშილისგან ამოიხრებს: „ობ, ობ“. შესაბამისად, გამოჩნდება ოსტატი ახრაკა (ვახრაკა), ანუ უნგრელი ობ ობ, რომელიც თავისთან წაიყვანს ვაჟს ჯადოქრობის შესასწავლად (სწავლების ვადა ხან ერთი წელია, ხან – სამი). ვაჟს ეხმარება ოსტატის ერთადერთი ჯადოქარი ქალიშვილი, რომელიც სამგზის გადაატანინებს მას ინიციაციას (ინიციაცია ქართულ ზღაპრებში არ გვხვდება, მხოლოდ უნგრულშია) და ამის შემდეგ ვაჟი სრულად ეუფლება გადაქცევის ხელოვნებას. ქალიშვილის რჩევით, მალავს თავის ცოდნას ოსტატთან, რადგან ოსტატს შურს თავისი ნიჭიერი შეგირდისა და მზადაა, მოკლას ის.

2. სწავლის შემდეგ ვაჟი მამასთან ერთად შინ ბრუნდება და გზად სხვადასხვა ცხოველად გადაიქცევა. მალე დიდ ფულს იშოვის და სახელს გაითქვამს. ოსტატი გაიგებს მისი წარმატების შესახებ და მოსაკლავად დაედევნება. უნგრულ ზღაპარში გვხვდება ქართული ზღაპრისგან განსხვავებული გარდასახვა – შეგირდი ულამაზეს ცხენად იქცევა. ოსტატი მას ხელთ იგდებს, მერე კი ზღვისპირა სახელმწიფოს უფლისწულს ათხოვებს, რათა ზღვის გაღმიდან ამ ცხენით გამოიყვანოს საცოლე, ოღონდ იმ პირობით, რომ ცხენს წვეთი წყალი არ დააღვეინოს. ასე თუ ისე, ცხენი მაინც დაღვეს წყალს, ოქროს თევზად იქცევა და ოსტატს გაექცევა.

3. მესამე, ანუ საფინალო ნაწილში გვხვდება ქცევადობის მთელი კასკადი, რაც იმით მთავრდება, რომ ქართულ ზღაპრებში შეგირდი ნემსად იქცევა, ოსტატი კი ძაფად და ყუნწში გაეყრება. ნემსი ცეცხლში გაივლის, ძაფი დაიწვება – ოსტატი მოისპობა. რაც შეეხება უნგრული ზღაპრის ფინალს, აქ არაერთი მეტამორფოზის შემდეგ ოსტატი მამლად იქცევა, შეგირდი კი – სურათიდან გადმოსულ ჰუსარად და მამალს ყინწს მოაჭრის. ასე მთავრდება ეს ზღაპარი, რომლის ფინალშიც გამდიდრებული ღარიბი ვაჟი ქორწინდება („ზღაპარი ოსტატისა და შეგირდისა“) ან ვაჟი ცოლად ირთავს თავის კეთილისმყოფელი ოსტატის ქალიშვილს („ოსტატი და შეგირდი“). უნგრულ ზღაპარში ვაჟი მეფის ასულს ირთავს ცოლად სიყვარულით.

უნგრულ და ქართულ ზღაპრებს შორის არსებული მსგავსება-განსხვავებანი განპირობებულია თითოეული ქვეყნის ცხოვრების თავისებურებითა და ნაციონალური კოლორიტით.

Georgian folktales form part of an ancient narrative tradition and share many similarities with folktales from other cultures, which is largely explained by the migration and diffusion of international folkloric motifs. This paper examines the Georgian folktale "Master and Pupil" and the Hungarian folktale "Okh! Okh!", both of which belong to the international tale type ATU 325, *The Sorcerer's Apprentice*, as classified in *The Types of International Folktales* (Helsinki, 2004).

The Georgian folktale "Master and Pupil" was first published in a collection compiled by Lado Agniashvili in 1890. It was later translated and edited by Marjory Wardrop in 1894 (Georgian Folk Tales, translated by Marjory Wardrop). London: David Nutt, 1894). Comparing the Georgian and Hungarian versions of this narrative reveals both shared international motifs and culturally specific adaptations.

The main narrative episodes in both versions can be summarised as follows:

1. A poor peasant tries to find a suitable job for his son. During their travels, the boy drinks water from a stream and inadvertently summons a supernatural being – Vakhraga, who is depicted as a devil in human form in the Georgian tale, and Okh Okh in the Hungarian version. The devil offers to train the boy in the magical arts.

2. After completing his apprenticeship, the pupil uses his newfound powers to earn a living by transforming himself into a horse, which his father then sells at the market. In the Hungarian version of the tale, the horse is taken to the palace of the King of the Sea, where the prince tries to use it to find a bride. Ultimately, the pupil escapes by transforming into a fish.

3. When the sorcerer tries to recapture his former apprentice, they engage in a chase, involving a series of magical transformations. In the Georgian version, the pupil becomes a needle, and the master becomes a thread. The needle falls into the fire, and the master perishes. In the Hungarian tale, the master turns into a rooster and is beheaded by the pupil.

Both folktales have happy endings: the Hungarian hero marries the king's daughter, and the Georgian hero marries the magician's daughter. These examples demonstrate how both cultures preserve core narrative structures in their folktales while allowing for local variations that reflect their distinct cultural values, social norms and storytelling traditions.

დარეჯან გარდავაძე

Darejan Gardavadze

**„სიკვდილ-სიცოცხლის თამაშია ცხოვრების არსი,  
ამქვეყნად ყოფნის ვადა ყველას განსაზღვრული აქვს...“ –**

**იმრე მადაჩის „ადამიანის ტრაგედია“**

**“The Essence of Life is the Game of Life and Death,  
Everyone has a Certain Time Limit on their Stay in this  
World...” – Imre Madách's “The Tragedy of Man”**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

საკვანძო სიტყვები: იმრე მადაჩი, „ადამიანის ტრაგედია“,

ფილოსოფიური დრამა, ბიბლიური რემინისცენციები

Keywords: Imre Madách, "The Tragedy of Man", philosophical drama,  
biblical reminiscences

XIX საუკუნის უნგრული კულტურისა და ლიტერატურის კორიფეს, ერთ-ერთი ყველაზე ფილოსოფიური ავტორის იმრე მადაჩის 15-სცენიანი დრამატული პოემა / ფილოსოფიური დრამა „ადამიანის ტრაგედია“, ეპოქალური ნაწარმოებია, რომლის მთავარი პერსონაჟები არიან ადამი, ევა და ლუციფერი და მთელი ნაწარმოები, შეიძლება ითქვას, ადამის ისტორიაა ედემის ბაღიდან გამოძევებისა და კაცობრიობის ცივილიზაციათა უმთავრესი მომენტების აღწერების ჩათვლით (ეგვიპტე, ათენი, შუა საუკუნეების ევროპა, რევოლუციური პარიზი...), ანუ, შეიძლება ითქვას, ადამიანური ტრაგედია – ფსევბდაკარგული ადამის სამყაროში ხეტიალი და საკუთარი ადგილის, სიცოცხლის არსის ძიებაა მისი განუყოფელი ფილოსოფიური კითხვებით. თუ ლუციფერი ცდილობს, დაარწმუნოს ადამი, რომ ცხოვრება უაზროა და კაცობრიობა განწირულია, უფალი საპირისპიროს მოუწოდებს: „მირქუამს ასე: ბრძოლით შენით და რწმენით შენით ჰპოვე ძლევა და დამშვიდება!“ ადამს კი ისღა დარჩენია, „ბოროტს და კეთილს შორის აირჩიოს გზა მართალი“.

მოხსენება ასევე წარმოაჩენს ფილოსოფოსისა და მთარგმნელის, ნოდარ გურუშვილის ღვაწლს უნგრული ლიტერატურის ქართულად თარგმნასა და კონკრეტულად, იმრე მადაჩის ამ ურთულესი ნაწარმოების „ადამიანის ტრაგედიის“ ქართულად გადმოღებაში.

The 15-scene dramatic poem/philosophical drama “The Tragedy of Man” by Imre Madách, a coryphaeus of 19th-century Hungarian culture and literature and one of the most philosophical authors, is an epochal work, the main characters of which are Adam, Eve and Lucifer. The entire work, one could say, is the story of Adam, including the expulsion from the Garden of Eden and descriptions of the most important moments of human civilizations (Egypt, Athens, medieval Europe, revolutionary Paris...). In other words, it is a human tragedy – the wanderings of a rootless Adam in the world and his search for his own place, the essence of life, with its inseparable philosophical questions. If Lucifer tries to convince Adam that life is meaningless and humanity is doomed, the Lord urges the opposite: “I have told you, Man: strive on, and have faith!” Adam only had to “choose the right path between evil and good”.

The report also presents the contribution of philosopher and translator Nodar Gureshidze to the translation of Hungarian literature into Georgian, and specifically to the translation of Imre Madách’s extremely difficult work, “The Tragedy of Man”, into Georgian.

ლევან გელაშვილი  
Levan Gelashvili

მატერიალიზებული დრო მეტაფიზიკურ სივრცეში  
ბელა ტარის კინემატოგრაფიული რეფლექსია  
**Materialized Time in Metaphysical Space:  
Bela Tarr's Cinematographic Reflection**

თსუ შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი  
TSU Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

საკვანძო სიტყვები: ბელა ტარი, ნიცშე, ტურინული ცხენი,  
ეგზისტენციალური სივრცე  
**Keywords:** Béla Tarr, Nietzsche, *The Turin Horse*, existential space

ბელა ტარის „ტურინულ ცხენში“ (2011) დრო და სივრცე განიცდის მატერიალიზაციასა და მეტაფიზიკურ ტრანსფორმაციას. ფილმის კონსტრუქცია ეფუძნება ბიბლიური ალუზიის ექვსდღიან ციკლურ სტრუქტურას, თუმცა აქ შემოქმედებითი აქტი არსებობის მიღვედ ენერგიად არის წარმოდგენილი. აპოკალიფსი კატასტროფული მოვლენები კი არა, სხეულბრვი ტვირთია, რომელიც კარგავს ძალას.

ტარი გვთავაზობს „უკუდაბადების“ კონცეფციას. თუ ბიბლიური კოსმოგონია ექვს დღეში სამყაროს შექმნას აღწერს, ფილმი ასახავს ექვსდღიან დეგრადაციას, სადაც დრო წრფივი განვითარებიდან სტატიკურ კვდომაში გადადის. აპოკალიფსი აქ არ არის მეტაფორული – ის მატერიალურია.

146 წუთიანი ფილმის 30 კადრი დროს ფიზიკურ, შეგრძნებად მასად აქცევს, რომელიც მაცურებელს ართმევს ტრადიციულ ნარატიულ კომფორტს. ხანგრძლივი კადრები (საშუალოდ 229 წამი) აპოკალიფსურ დროს არა მოვლენათა ჯაჭვად, არამედ ეგზისტენციალურ შეგრძნებად წარმოადგენს. ფილმში ყოველი წამი ისტორიის დასასრულის განცდას ბადებს. მეტაფიზიკური სივრცე ფილმში არა ფონი, არამედ აქტიური ონტოლოგიური პერსონაჟია. კინოსურათში დრო იზომება არა საათებით, არამედ სასიცოცხლო ელემენტების თანმიმდევრული გაქრობით (ცხენი აღარ მოძრაობს, ჭა შრება, ცეცხლი ქრება). დროის დინება მატერიალიზებულია მექანიკურ მოქმედებებში (კარტოფილის ჭამა, ჩაცმა), რაც ხაზს უსვამს არსებობის რუტინულ აბსურდულობას გარდაუვალი ფინალის წინაშე.

სივრცე ფილმში ფუნქციონირებს, როგორც მეტაფიზიკური გალია. ქობი და მისი შემოგარენი არ არის მხოლოდ გეოგრაფიული ლოკაცია, ის არის ყოფიერების უკანასკნელი პლაცდარმი, სადაც ქარი ქაოსს ქმნის. ხის მაგიდა, ორი სკამი, ცხენი იძენენ ტოტემურ მნიშვნელობას. ფანჯარა ერთადერთი მედიუმია გარე სამყაროსთან, რომელიც უკვე აღარ არსებობს და წყვდიადში ითქვიფება.

ფილმი იწყება იქ, სადაც ნიცშეს გონება წაერთვა. ტარი იკვლევს იმ დუმილს, რომელიც ფილოსოფიის დასასრულს მოჰყვება. მეტაფიზიკური კრიზისი ვლინდება ვერბალური კომუნიკაციის სიმცირეში – სიტყვამ დაკარგა სამყაროს გარდაქმნის ძალა. ერთადერთი, რაც რჩება,

არის ყოფნა დასასრულის მოლოდინში. თუ ნივთზე ცხენის გამო შეიშალა, ტარი მთავარი გმირისა და მისი ქალიშვილის პერსპექტივიდან გვიჩვენებს იმავე ცხენის უარის თქმას ცხოვრებაზე.

ფილმი უარს ამბობს ფსიქოლოგიურ განვითარებასა და კონფლიქტის კლასიკურ მოდელზე. ამის ნაცვლად, ფორმა თავად ხდება შინაარსი. დროის გაწევა (სლოუ სინემას ექსტრემალური წერტილი) და სივრცის დაცარიელება მაყურებელს აყენებს დილემის წინაშე, სადაც კატასტროფა ხმაურიანი აფეთქებით კი არა, ნელი და ჩუმი ჩაქრობით ბეუტავს.

In *The Turin Horse* (2011), Bela Tarr constructs a cinematic universe in which time and space undergo processes of materialization and metaphysical transformation. The structure of the film is organized around a six-day cyclical framework that evokes a biblical allusion; however, the creative act of genesis is replaced here by the gradual depletion of existential energy. The apocalypse is not represented as a catastrophic event but as a corporeal burden that progressively loses vitality.

Tarr proposes a concept of “counter-creation”. Whereas the biblical cosmogony narrates the creation of the world in six days, the film depicts a six-day process of degeneration, in which time shifts from linear progression to static extinction. The apocalypse is not metaphorical; it is material, embedded in the physical conditions of existence.

Composed of approximately thirty shots over 146 minutes, the film transforms time into a tangible, perceptible mass that deprives the viewer of conventional narrative comfort. The extended takes (averaging roughly 229 seconds) present apocalyptic time not as a chain of events but as an existential sensation. Each passing moment evokes the sense of historical finality. Time is measured not by clocks but by the sequential disappearance of vital elements: the horse ceases to move, the well runs dry, the fire is extinguished. The time flow is further emphasized through repetitive mechanical actions – eating potatoes, dressing – underscoring the routinized absurdity of existence in the face of an inevitable end.

Space functions not as background but as an active ontological presence. The hut and its surroundings are not merely geographical locations; they

constitute the final platform of being, destabilized by relentless wind. Objects such as the wooden table, the two chairs, and the horse acquire a totemic dimension. The window serves as the sole mediating threshold to an exterior world that is itself dissolving into darkness.

The film begins where Nietzsche's reason collapsed. Tarr interrogates the silence that follows the exhaustion of philosophy. The metaphysical crisis manifests in the scarcity of verbal communication: language has lost its transformative power. What remains is existence suspended in anticipation of its own conclusion. If Nietzsche succumbed to the sight of the beaten horse, Tarr rearticulates the event from the perspective of the peasant and his daughter, foregrounding the horse's refusal of life itself.

Rejecting psychological development and classical conflict, the film allows form to become content. The radical dilation of time – an extreme articulation of slow cinema – and the evacuation of space confront the spectator with a model of catastrophe defined not by explosive climax, but by gradual and silent extinction.

ელენე გოგიაშვილი  
Elene Gogiashvili

პოსტმოდერნული ფენტეზი უნგრულ ფილმში  
„კუდიანთა ღამე“ (1984)  
Postmodern Fantasy in the Hungarian Film *Witches' Sabbath*  
(1984)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: უნგრული კინო, ინტერმედიალობა, ზღაპარი, ფენტეზი  
Keywords: Hungarian cinema, intermediality, fairy tale, fantasy

საბავშვო ფილმები, ტრადიციულად, ზღაპრებსა და ფანტასტიკურ მოთხრობებს ეფუძნება, თუმცა მათი ინტერმედიალური შესწავლა არა მხოლოდ ლიტერატურულ წყაროებს, არამედ ეკრანიზაციის ესთეტიკურ და იდეოლოგიურ სტრატეგიებსაც ითვალისწინებს. კინოზღაპრების ამ მეთოდით ანალიზი ისეთ მნიშვნელოვან ასპექტებს შეიცავს, როგორცაა ვიზუალური ენა, ჟანრთა ჰიბრიდულობა, მეტაფიქციური ხერხები, სპეციალური ეფექტები, კულტურულ-ისტორიული კონტექსტი და სხვა. მოხსენებაში განხილულია 1984 წელს გადაღებული უნგრული კინოზღაპარი „კუდიანთა ღამე“, რომლის სცენარში გამოყენებულია მოტივები და პერსონაჟები კლასიკური ევროპული ზღაპრებიდან.

ადმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ბლოკის ქვეყნებში საბავშვო კინოს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა და მათგან საკმაო რაოდენობას ზღაპრის ადაპტაციები შეადგენდა. ზღაპარი არა მხოლოდ გართობას, არამედ მორალურ აღზრდასაც ემსახურებოდა. XX საუკუნის 80-იან წლებში კინოზღაპრის ინდუსტრიაში საინტერესო ექსპერიმენტები შეიქმნა, რომლებიც ჟანრობრივად და იდეოლოგიურად ახალ ხედვას სთავაზობდნენ ყველა ასაკის მაყურებელს. უნგრული ფილმი „კუდიანთა ღამე“ ამის თვალსაჩინო მაგალითია. ფილმი უბრალოდ ზღაპარს კი არ მოგვითხრობს, არამედ თვითრეფლექსიურ, პოსტმოდერნულ ფანტასტიკურ სამყაროს წარმოგვიდგენს, რომელშიც ზღაპრის პერსონაჟები და მძევი გრიმები ერთად მოქმედებენ. სიუჟეტი დამაბულად მიმდინარეობს, ზღაპრის კანონზომიერება უნდა დაირღვეს: ბოროტი პერსონაჟები ცდილობენ ზღაპრის სუბვერსიას, ისტორიის თავის სასარგებლოდ გადაწერას.

ფილმში წინა პლანზე იწევს ზღაპრის ორიგინალობის, ნარატიული ავტორიტეტებისა და მორალური სტაბილურობის საკითხები. ზღაპრის კანონები და ფანტასტიკური ელემენტები ფილმში ბუნებრივად ერწყმის თანამედროვე ადამიანის წარმოსახვას და კულმინაციას აღწევს ფინალურ ეპიზოდში, როცა ზღაპრულ სასახლეში შემოიჭრებიან ბავშვები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. კონფლიქტის ამგვარი გადაჭრით რეჟისორი ხაზს უსვამს ზღაპრის მორალის სიმტკიცეს, ზღაპრის კონსტრუქციის სიმყარეს და მუდმივობას. „კუდიანთა ღამე“ არ არის ჩვეულებრივი საბავშვო კინოზღაპარი. ეს არის უნგრული პოსტმოდერნული ფენტეზი, რომელიც ირეკლავს სოციალისტური ეპოქის უკანასკნელი ათწლეულის გამოწვევებს, დასავლეთ ევროპულ ლიტერატურულ ტენდენციებს და, ამასთან, აგრძელებს ზღაპრის ადაპტაციის უწყვეტ შესაძლებლობას კინოში.

Historically, children's films have been closely connected to literary traditions, particularly fairy tales and fantasy narratives. While early film adaptations of children's literature were often dismissed as inferior to their literary sources, intermedial studies have demonstrated that film employs its own unique narrative, aesthetic and ideological strategies which deserve to be analysed in their own right. This perspective is particularly useful when examining fairy-tale films, where visual language, genre hybridity and metafictional devices play a crucial role. This paper focuses on the Hungarian fairy-tale film *Witches' Sabbath* (original title: *Boszorkányzombat*, dir. János Rózsa, screenplay by István Kardos, 1984), as an example of an original reinterpretation of classical fairy-tale motifs.

Within the context of Eastern European socialism, children's cinema occupied a prominent position within broader cultural and educational policies. A significant proportion of these films were fairy-tale adaptations designed not only for entertainment, but also for moral education. While many of these films followed conventional narrative patterns, some late socialist productions began to experiment with genre boundaries and ideological assumptions. In this context, the Hungarian film *Boszorkányzombat* is an exceptional example of such experimentation. Rather than retelling a single fairy tale, the film creates a self-referential, postmodern fantasy world in which fairy-tale characters, motifs and even the Brothers Grimm themselves coexist. The narrative revolves around an attempted subversion of the traditional fairy-tale order, with the forces of evil seeking to rewrite the stories so that they ultimately prevail.

By staging a conflict over the very structure of fairy tales, *Boszorkányzombat* foregrounds questions of authorship, narrative authority and moral stability. The film combines fairy-tale conventions with fantasy elements rooted in a contemporary, global imagination, culminating in children from around the world intervening. This resolution reaffirms the persistence of the moral order of fairy tales while simultaneously exposing its constructed nature. This paper argues that *Boszorkányzombat* should not be understood as a conventional children's fairy-tale film, but rather as a Hungarian postmodern fantasy reflecting late socialist cultural anxieties, which demonstrates the continued adaptability of fairy-tale traditions within cinema.

არპად ელემი  
Árpád Éles

მთარგნელი მანანა სალადის შემოქმედება ქართულ-  
უნგრული ლიტერატურული ურთიერთობების ქრილში  
XX საუკუნის მეორე ნახევარში

**Translator Manana Saladze's Lifework in the Mirror of  
Georgian-Hungarian Literary Relations in the Second Half of  
the 20th Century**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: მანანა სალადე, ქართულ-უნგრული ლიტერატურული  
ურთიერთობები, თარგმნა

**Keywords:** Manana Saladze, Georgian-Hungarian literary relations, translation

მანანა სალაძე, უნგრული და ქართული ენების მასწავლებელი, მთარგმნელი, დაიბადა ახმეტაში 5 აპრილს, 1946 წელს. მან ჩააბარა თბილისში გერმანული ენის საუნივერსიტეტო პროგრამაზე, მეგობრობდა უნგრელ ქართველოლოგ და ისტორიკოს ლაიოშ ტარდისთან (Tardy Lajos, 1914-1990), რომელიც იმ დროისათვის თბილისის უნივერსიტეტში მოღვაწეობდა და იქ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. ამ მეგობრობის წყალობით, მანანა სალაძე უნგრული ენის საუკეთესო მცოდნე გახდა, რამაც მის შემოქმედებაზე უდიდესი გავლენა მოახდინა. გარდა იმისა, რომ მანანა სალაძე იყო პირველი ქართველი, რომელმაც იმდროინდელ უცხო ენათა ინსტიტუტში უნგრული ენის სწავლება დაიწყო, მან თავი გამოიჩინა უნგრული მხატვრული ლიტერატურის თარგმანებითაც. მის სახელს უკავშირდება ისეთი რჩეული უნგრელი მწერლების ნაწარმოებების გადმოქართულება, როგორებიც არიან ტიბორ დერი (Déry Tibor), ფრიდიემ კარინთი (Karinthy Frigyes), ფერენც მოლნარი (Molnár Ferenc), იშტვან ერკენი (Örkény István). თბილისში მისი თარგმანები 1970-80-იან წლებში ლიტერატურულ ჟურნალებში იბეჭდებოდა. სალაძის სხარტი და კოლორიტული თარგმანების წყალობით, ქართველი მკითხველისათვის უნგრული ლიტერატურა ახალ სამყაროდ გადაიშალა. როგორც უნგრული ენის მასწავლებელს, მანანა სალაძეს დიდი წვლილი მიუძღვის ქართველ მთარგმნელთა შემდეგი თაობის აღზრდაშიც. განსაკუთრებით აღსანიშნავია ისიც, რომ მანანა სალაძე ქართულიდან უნგრულ ენაზეც თარგმნიდა. იგი ჩართული იყო ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიას“ უნგრულ ენაზე თარგმნის პროცესში. რომანი 1988 წელს ბუდაპეშტში გამოცემლობა Európa-მ დაბეჭდა.

მანანა სალაძის მოღვაწეობამ უდავოდ გამორჩეული წვლილი შეიტანა ორი ქვეყნის კულტურულ და ლიტერატურულ ურთიერთობათა განვითარების საქმეში. შესაბამისად, მოხსენებაში განხილულია ის მნიშვნელოვანი ნაწარმოებები, რომლებიც სალაძის თარგმნით ქართულ ენაზე გამოიცა. განსაკუთრებით საყურადღებოა იშტვან ერკენის რომანი „ვარდების გამოფენა“ (1986). გარდა ამისა, მიმოვიხილავთ ქართულ-უნგრულ ლიტერატურულ ურთიერთობათა ინტენსიური განვითარების პერიოდს – ამ კონტაქტების დასაწყისს (მწერალთა კონფერენცია ბორჯომში, 1960-იანი წლები), გარდამავალ ხანას, მთარგმნელთა ახალ პლედადს.

Manana Saladze, Hungarian and Georgian teacher and translator was born in Akhmeta, Kakheti region, on 5 April 1946. During her student years, she studied the German language in Tbilisi and got to know Lajos Tardy (1914-1990), a Hungarian kartvelologist and historian, who worked at Tbilisi University and defended his doctoral thesis in that period. Thanks to this friendship, Saladze became a master of the Hungarian language, which meant a fateful turn in her life. Apart from the fact that Manana Saladze was the first Georgian who started to conduct Hungarian classes at the College of Foreign Languages of that time, she also distinguished herself with translations of Hungarian fiction.

In the circle of Georgian readers of that period, her name was associated with works of distinguished modern Hungarian writers (Tibor Déry, Frigyes Karinthy, Ferenc Molnár, István Örkény). Manana's translations were published in Tbilisi in the 1970s and 1980s by prominent Georgian publishing houses and literary magazines. Thus, the mediation of Hungarian prose became colorful and distinguished, opening Hungarian literature as a new horizon for Georgian readers. As a teacher of Hungarian, Saladze made a great contribution to the upbringing of the next generation of Georgian translators. The fact that Saladze also translated from Georgian into Hungarian is considered a particularly great achievement. She participated in the process of translating Chabua Amirejibi's *Data Tutashkhia* into Hungarian, which was published in Budapest by Európa Publishing House (1988).

Within the framework of cultural and literary relations, on the one hand, Manana Saladze's work is undoubtedly distinguished by its significance; on the other hand, it was a part of the ongoing process. Therefore, this presentation offers an introduction into the significant works that were published in Georgian by Saladze's translation, with special attention to István Örkény's novel, *The Flower Show* (1977; Georgian edition, 1986). Besides, it provides an overview for the period during which Georgian-Hungarian literary relations developed intensively, from the beginning (Writers' Conference in Borjomi, 1960s), through the intermediary period associated with the name of Manana Saladze, to the next generation of Georgian translators.

ომიკო ეჯიბია  
Omiko Ejibia

**1541 წლის ბუდას აღყა და სოხოისტის ბრძოლის (1545)  
შედევების შედარებითი ანალიზი**  
**Comparative analysis of the outcomes of the Siege of Buda in  
1541 and the Battle of Sokhoista (1545)**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ბუდას აღყა, სოხოისტის ბრძოლა, ოსმალეთის ომები,  
მეთექვსმეტე საუკუნე, შედარებითი ანალიზი  
**Keywords:** Siege of Buda, Battle of Sokhoista, Ottoman wars, 16th century,  
comparative analysis

XVI საუკუნე, განსაკუთრებით კი მისი პირველი ნახევარი, ოსმალეთის იმპერიის აღზევების პერიოდია. ამ საუკუნეში არაერთი მნიშვნელოვანი ბრძოლა გაიმართა როგორც ოსმალეთის დასავლეთით – ბალკანეთის, უნგრეთის, ავსტრიისა თუ სხვათა წინააღმდეგ, ასევე აღმოსავლეთით – კავკასიასა თუ მესოპოტამიაში. ოსმალთა მზარდი სამხედრო ძლიერების გათვალისწინებით, ზემოხსენებული ბრძოლების უმეტესობა მათ სასარგებლოდ დასრულდა, მათ შორის, 1541 წლის ბუდას ალყა და 1545 წლის სოხოისტის ბრძოლა.

მოხსენების მიზანია ქალაქ ბუდას ალყისა და სოხოისტის ბრძოლის შედეგების შედარებითი ანალიზი. ეს საშუალებას გვაძლევს, დავინახოთ ოსმალთა გამარჯვების ზოგადი შედეგები არა მხოლოდ მოკლევადიან პერსპექტივაში, არამედ გრძელვადიან პერიოდშიც. შედეგები ეხება როგორც ქვეყნების საგარეო პოლიტიკას, ისე შიდაპოლიტიკურ ძვრებსა თუ ცვლილებებს.

ცალკე აღებული ეს ორი ისტორიული ფაქტი არაერთხელ გამხდარა ისტორიკოსთა თუ მკვლევართა შესწავლის საგანი. თუმცა ჩვენ პირველად წარმოვადგენთ ამ ბრძოლათა შედეგების შედარებით ანალიზს, რაც უფრო ფართო კონტექსტში დაგვანახებს თითოეული მოვლენის მნიშვნელობას ზოგადი ისტორიული ვითარების გათვალისწინებით, რადგან ამ მოვლენებს შორის დიდი დროითი ინტერვალი არ არის. ასევე წარმოვაჩენთ თავად ოსმალეთის იმპერიის წარმატებულ სამხედრო-საგარეო პოლიტიკას.

ბრძოლათა შედეგების ლოკალური და გლობალური კონტექსტის გასააზრებლად კვლევის პროცესში, ცხადია, გამოვიყენეთ ისტორიულ-შედარებითი ანალიზის მეთოდი, მაკრო- და მიკროისტორიული მიდგომები, სტრატეგიული ანალიზის მეთოდი კი დაგვეხმარა ოსმალეთის იმპერიისათვის დადებითი თუ უარყოფითი შედეგების, მაგალითად, ეკონომიკური და პოლიტიკური სარგებლის, კლასიფიკაციაში.

მოხსენების დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია ბუდას ალყისა და სოხოისტის ბრძოლის შედეგების შედარებითი ანალიზი. განხილულია შედეგები, ერთი მხრივ, უნგრეთის, ქართლისა და იმერეთისთვის, ხოლო მეორე მხრივ – ოსმალეთის იმპერიისთვის, ამასთანავე – ზოგადად, რეგიონალურ კონტექსტში, ცენტრალური თუ აღმოსავლეთ ევროპისა და სამხრეთ კავკასიისათვის.

The 16th century, especially its first half, was the period of the rise and zenith of the Ottoman Empire. In this century, many important battles took place, both to the west of the Ottoman Empire – in the Balkans, Hungary, Austria and others; and to the east – in the Caucasus and Mesopotamia. Given the growing military power of the Ottomans, most of the aforementioned battles were fought in their favour, including the Siege of Buda in 1541 and the Battle of Sokhoista in 1545.

The purpose of the report is to provide a comparative analysis of the results of the Siege of Buda and the Battle of Sokhoista. This allows us to see not only the general results of the Ottoman victory in the short term, but also in the long term. The results are related to both the foreign policy of the countries and domestic political shifts or changes.

Taken separately, these two historical facts have repeatedly become the object of study of historians and researchers. However, it is our first attempt to present a comparative analysis of the results of these battles, which will show us in a broader context the importance of each event, taking into account the general historical context, since the events are not separated by a long period of time, and they reflect the successful military and foreign policy of the Ottoman Empire itself.

In the research process, we obviously used the method of historical-comparative analysis, since the main research topic of the report revolves around it. To understand the results of the battles in both the local and global context macro and micro historical approaches were also utilized; the method of strategic analysis was employed to classify positive or negative results for the Ottoman Empire, such as, for example, economic and political benefits.

The conclusion of the report presents a comparative analysis of the results of the Siege of Buda and the Battle of Sokhoista. For Hungary, Kartli and Imereti, on the one hand, and for the Ottoman Empire, on the other, and in the general regional context: for the history of Central or Eastern Europe and the South Caucasus.

**ჟუჟანა ვარგა**  
**Zsuzsanna Varga**

**უნგრული ენისა და კულტურის სწავლება კარპატების  
აუზის გარეთ: სილაბუსებისა და შაბათ-კვირის სკოლების  
მიმოხილვა უნგრული დიასპორული განათლების  
ფარგლებში**

**Teaching Hungarian Studies Outside the Carpathian Basin:  
Glimpses into Curricula, Weekend Schools and Diasporic  
Practices**

გლაზგოს უნივერსიტეტი  
University of Glasgow

შუა და აღმოსავლეთ ევროპული დეპარტამენტი  
Department of Central and East European Studies

საკვანძო სიტყვები: უნგრული ენისა და კულტურის სწავლება, კარპატების  
აუზი, შაბათ-კვირის სკოლები, უნგრული დიასპორული განათლება  
**Keywords:** teaching Hungarian Studies, the Carpathian basin, weekend schools,  
Hungarian diasporic practices

My presentation offers a comprehensive survey of Hungarian Studies as taught in some Western European countries, with special regard to the United Kingdom, France and Italy. This perspective is often neglected from the point of view of scholarship; therefore, it is particularly useful to distinguish it from teaching practices in the Carpathian basin, where students pursuing Hungarian studies often come from transborder Hungarian families, while students in Western Europe may have origins in the diaspora or could be novices to Hungarian studies.

The survey of undergraduate and postgraduate programmes explores the historical contingencies under which they were created, and under which they continue to raise generations of Hungarian scholars. It argues that changes in cultural politics and educational priorities have had a major influence on shaping curricula both nationally and internationally. It also stresses the point that the teaching of Hungarian studies cannot be considered in isolation from the educational contexts in which it operates.

The second part of the presentation examines the relationship of Hungarian-teaching academic institutions and the teaching of Hungarian language and culture in weekend schools in countries with a significant Hungarian diaspora, which may include communities in North and South America. The existence of the ties between Hungarian-teaching academic institutions and diasporic organisations raises questions about the supposedly self-evident nature of the separation of heritage language teaching and foreign language instruction and argues that a deeper familiarity with each other's work could only benefit the development of the profession. About the author: Dr Varga teaches Hungarian and Central European studies at the University of Glasgow. She completed her initial studies in English, Hungarian and Portuguese at Eötvös Loránd University. She subsequently earned a PhD in English literature from the University of Edinburgh, and a Master's degree in Library and Information Science from the University of Strathclyde. Currently, she serves as a senior lecturer in the Department of Central and East European Studies is an active member of the Visiting Lecturers' Network.

ეკა ვარდოშვილი  
Eka Vardoshvili

**შანდორ პეტეფი და მისი პოეზია**  
**Sandor Petofi and his Poetry**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: პეტეფი, მსოფლიო პოეზია, ლიტერატურული პარალელები  
**Keywords:** Petofi, world poetry, literary parallels

მსოფლიოში ცნობილი უნგრელი პოეტი შანდორ პეტეფი 1823 წელს დაიბადა. იგი უნგრეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულისჩამდგმელი იყო. 1848 წლის უნგრეთის რევოლუცია, მიმართული ავსტრიელი დამპყრობლების წინააღმდეგ, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მის ცხოვრებაში. საყურადღებოა, რომ უნგრეთის რევოლუციაში მონაწილეობდნენ პოლონელი პატრიოტებიც, რომლებიც 1830 წლის პოლონეთის აჯანყებაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი. პეტეფის პოეზიის ძირითადი ნაწილი 1844-1845 წლებში შეიქმნა. ფორმით ეროვნული მისი პოეზია ეყრდნობა ფოლკლორულ წყაროებს. ზოგჯერ იგი მიმართავს შუა საუკუნეების ისტორიასაც. მან ლიტერატურა ცხოვრებას დაუახლოვა. პეტეფის შემოქმედებაში თავს იჩენს ყოველივე ის, რაც ლიტერატურაში ევროპულ რომანტიზმს შემოაქვს. შანდორ პეტეფი 1849 წელს დაიღუპა.

შანდორ პეტეფმა 1842 წელს დაწერა „მერანი“ („AZ ÉN PEGAZUSOM“), რომელიც მისი შემოქმედების მწვერვალად ითვლება. როგორც უნგრულ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, მესიანიზმის მოტივი მიცკევიჩისა და პეტეფის პოეტურ ქმნილებებში იმდენად მსგავსია, რომ გავლენის წყარო აუცილებლად მიცკევიჩის „ფარისი“ უნდა ყოფილიყო. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ცნობილი უნგრელი მწერალი ანტალ ჰიდაში წერს: „1848 წლის ივლისში პოლონურ გაზეთში „Demokrata polska” სტანისლავ ვორცელმა დაბეჭდა წერილების სერია სათაურით „უნგრეთი და პოლონეთი“, რომლებშიც მოუწოდებდა პოლონელებსა და უნგრელებს ერთად ებრძოლათ თავისუფლების მოსაპოვებლად. უნგრელებს მისასალმებელი მოწოდებით მიმართა აგრეთვე დიდმა პოლონელმა პოეტმა ადამ მიცკევიჩმა“.

თავისი შინაარსით, მხატვრული სახეებით, სიმბოლური დატვირთვით უნგრელი ავტორის ლექსი დიდ მსგავსებას ავლენს როგორც ბარათაშვილის „მერანთან“, ისე მიცკევიჩის „ფარისთან“.

საზოგადოდ, მერანის სახე მსოფლიო პოეზიაში პიროვნული და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის სიმბოლოდ შეიძლება მივიჩნიოთ. საფიქრებელია, რომ მსგავსი ლიტერატურული სახეების შექმნას საფუძვლად უდევს მსგავსი სოციალურ-პოლიტიკური ვითარება.

World famous Hungarian poet Sandor Petofi was born in 1823. He was the inspirer of the Hungarian National Liberation Movement. The Hungarian Revolution of 1848, directed against the Austrian invaders, was one of the most significant events in his life. It is noteworthy that Polish patriots, who were actively involved in the Polish uprising of 1830, also participated in the Hungarian Revolution. The major part of Petofi's poetry was created in 1844-1845. His poetry relies on folklore sources. Sometimes Petofi refers to medieval history. He brought literature closer to life. Everything that European romanticism brings to literature is reflected in his work. Petofi died in 1849.

In 1842, Sandor Petofi wrote "Merani" ("AZ ÉN PEGAZUSOM"), which is considered the peak of his creativity. On the other hand, the Hungarian academic literature states that the motive of Messianism is so similar to the poetic works of Mickiewicz and Petofi that the source of influence must have been Mickiewicz's "Faris". This is confirmed by the words of the famous Hungarian writer Antal Hidashi: "In July 1848, in the Polish newspaper "Demokrata polska" Stanislaw Worcell published a series of letters under the title: "Hungary and Poland", in which he appealed to Poles and Hungarians to fight together for freedom. The great Polish poet Adam Mickiewicz also addressed the Hungarians with a welcome call" (Hidashi).

The poem by the Hungarian author reveals significant similarities with both Baratashvili's "Merani" and Mickiewicz's "Faris" regarding the content, artistic imagery and symbolic imagery.

In general, the image of "Merani" can be considered a symbol of the struggle for personal and national freedom in world poetry. It is likely that a comparable socio-political situation may be one of the factors leading to the creation of analogous literary images.

ნინო პოპიაშვილი

Nino Popiashvili

**„სულიკოს“ უნგრული თარგმანები:  
ტექსტი, მუსიკა და კულტურული რეცეფცია  
Hungarian Translations of “Suliko”: Text, Music,  
and Cultural Reception**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: აკაკი წერეთელი, ბარბარე-ვარინკა მაჭავარიანი-წერეთელი,  
იოსებ სტალინი, სულიკო, თარგმანი

**Keywords:** Akaki Tsereteli, Barbare-Varinka Machavariani-Tsereteli,  
Joseph Stalin, Suliko, translation

აკაკი წერეთლის „სულიკო“, როგორც ქართული ლირიკის ერთ-ერთი საკულტო ტექსტი, აერთიანებს სიყვარულის, დაკარგვისა და მარადიული ძიების თემებს. „სულიკო“ 1895 წელს გამოქვეყნდა, ლექსის პოპულარიზაციას ხელი შეუწყო მუსიკამ, რომლის ავტორიც არის ბარბარე-ვარინკა მაჭავარიანი-წერეთლისა. გარდა ამისა, „სულიკო“ საბჭოთა ბელადის, იოსებ ჯუღაშვილის, სტალინის, საყვარელი სიმღერა იყო, რამაც განაპირობა ლირიკული ლექსისა და სიმღერის მსოფლიო მასშტაბით გავრცელება.

„სულიკო“ უნგრულ ენაზე სრულად თარგმნა ებრაული წარმოშობის უნგრელმა პოეტმა და მთარგმნელმა დიერდ რადომ (1912-1994). იგი ცნობილია, როგორც პოლონური პოეზიის, აგრეთვე საბჭოთა ლიტერატურის უნგრულ ენაზე მთარგმნელი. კერძოდ, მან შანდორ კაზაჩსთან ერთად 1950-57 წლებში შვიდ ტომად გამოსცა „საბჭოთა ლიტერატურის უნგრული თარგმანების ბიბლიოგრაფია“, ამას გარდა, 1950-იან წლებში ჟუჟა რაბთან ერთად მოამზადა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ლიტერატურული თარგმანი შანდორ ვერეშისათვის. დიერდ რადომ თარგმნა ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და სხვა ქართველი ავტორების ტექსტები უნგრულ ენაზე კრებულისათვის „მსოფლიო ლიტერატურა“.

დიერდ რადომ რამდენჯერმე იმოგზაურა საქართველოში. ამ მოგზაურობათა და შთაბეჭდილებათა შესახებ მოთხრობილია წიგნებში „თეთრი ღამეებიდან შავი ზღვისკენ“ (1962) და „კავკასიის გაღმა“ (1971).

ჩვენ მივაგენით უნგრულ ენაზე „სულიკოს“ მეორე თარგმანსაც, რომელშიც მხოლოდ სასიმღერო სტროფებია თარგმნილი. ჩვენი დაკვირვებით, მეორე თარგმანი უფრო ხშირად გამოიყენება „სულიკოს“ სიმღერით შესრულებისას.

აღსანიშნავია, რომ ლექსის სრული, 12 სტროფის, თარგმანი უფრო მეტად ინარჩუნებს ორიგინალის პოეტურ-ფილოსოფიურ სიღრმეს, სასიმღერო ვერსია კი, რომელიც სულ 4 სტროფისაგან შედგება, ორიენტირებულია მუსიკალურ შესრულებაზე. „სულიკოს“ უნგრული თარგმანებს აქვს როგორც ლიტერატურული, ისე კულტურული მნიშვნელობა და ხელს უწყობს ქართულ და უნგრულ ლიტერატურულ სივრცეებს შორის დიალოგს.

უნდა აღინიშნოს, რომ „სულიკოს“ სხვადასხვაენოვან თარგმანებზე 2015 წლიდან ვმუშაობთ. 2018 წელს ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოვეცით წიგნი „სულიკო მსოფლიოს ხალხთა ენებზე“. იმ დროისათვის „სულიკოს“ უნგრულ თარგმანებზე ხელი არ მიგვიწვდებოდა, თუმცა კვლევა გრძელდება და განზრახული გვაქვს, სამომავლოდ გადამუშავებულ გამოცემაში უნგრული ვერსიებიც შევიტანოთ.

Akaki Tsereteli's "Suliko", one of the iconic texts of Georgian lyric poetry, brings together the themes of love, loss, and eternal quest. The poem was published in 1895, and its popularization was greatly supported by the music composed by Barbare-Varinka Machavariani-Tsereteli. In addition, "Suliko" was the favorite song of the Soviet leader Joseph Jughashvili (Stalin), which contributed to the worldwide dissemination of both the lyric poem and the song.

The complete Hungarian translation of "Suliko" was produced by the Hungarian poet and translator of Jewish origin, György Radó (1912–1994). He is known as a translator of Polish poetry and Soviet literature into Hungarian. Together with Sándor Kazacs, he published the seven-volume *Bibliography of Hungarian Translations of Soviet Literature* (1950–1957). In the 1950s, along with Zsuzsa Rab, he prepared a literary translation of Shota Rustaveli's *The Knight in the Panther's Skin* for Sándor Weöres. Radó also translated works by Nikoloz Baratashvili, Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli, and other Georgian authors into Hungarian in the anthology *World Literature*.

Radó traveled to Georgia several times; his impressions were reflected in the books *From White Nights to the Black Sea* (1962) and *Beyond the Caucasus* (1971).

We have also identified a second Hungarian translation of "Suliko," which includes only the song stanzas. According to our observations, this version is more frequently used in musical performance. The full twelve-stanza translation preserves the poetic and philosophical depth of the original more fully, whereas the four-stanza song version is oriented toward musical rendition.

The Hungarian translations of “Suliko” hold both literary and cultural significance, fostering dialogue between Georgian and Hungarian literary spaces. Since 2015, we have been working on multilingual translations of “Suliko.” In 2018, we published the book *“Suliko” in the Languages of the Peoples of the World* in Georgian and English. At that time, we did not have access to the Hungarian translations; however, we continue our research and intend to include the Hungarian versions in a future revised edition.

ქეთევან ხუციშვილი, როზეტა გუჯეჯიანი  
Ketevan Khutsishvili, Rozeta Gujejiani

ბერიკაობა და ბუშოიარაში: ბუნების ძალთა  
ადორძინების დღესასწაული საქართველოსა და  
უნგრეთში  
**Berikaoba and Busójárás: The Festivals of Nature's Revival  
in Georgia and Hungary**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: საგაზაფხულო დღესასწაულები, ბერიკაობა, ბუშოიარაში,  
საქართველო, უნგრეთი

**Keywords:** spring festivals, Berikaoba, Busójárás, Georgia, Hungary

ბუნების ძალთა აღორძინების დღესასწაულები მსოფლიოს ბევრი ხალხის კულტურაში დასტურდება. ხშირ შემთხვევაში, მათ საკარნავალო ფორმა აქვთ და ისინი ნაყოფიერების უზრუნველყოფას ემსახურებიან. გაზაფხულის ციკლის დაწყება ნიღბებით, მსვლელობებით, სხვადასხვა გასართობი თუ სპორტული თამაშობებითა და რიტუალებით აღინიშნებოდა. ბევრ კულტურაში დღემდეა შემორჩენილი ასეთი საგაზაფხულო დღესასწაულები. ბერიკაობა და ბუშოიარაში საქართველოსა და უნგრეთში დღესაც აღინიშნება.

ბერიკაობა იყო ბუნების გამოღვიძებისადმი მიძღვნილი მრავალდღიანი აგრარული დღესასწაული, რომელიც, გარდა რელიგიურისა, მითოლოგიურ და ისტორიულ-ეთნოლოგიურ ელემენტებსაც შეიცავდა. დღესასწაულს ჰქონდა გარკვეული სტრუქტურა. ნიღბიანი ბერიკები (აუცილებლად მამაკაცები) როლებს ინაწილებდნენ და დგამდნენ წარმოდგენას შემდეგი სიუჟეტი: საქმრო საცოლზე (კეკელაზე) დაქორწინებას ცდილობს, ქორწინების რიტუალისას მოდის მტერი (თათარი, არაბი და სხვ.), კლავს სასიძოს და იტაცებს საპატარძლოს. დანარჩენი ბერიკები სამკურნალო წყლის დახმარებით ცდილობენ საქმროს გაცოცხლებას და საბოლოოდ ამას ახერხებენ კიდეც. გაცოცხლებული ბერიკა მტერს ამარცხებს, პატარძალს ათავისუფლებს და თამაშდება ქორწინების აქტი. საბოლოოდ, კარდაკარ მსვლელობისას შეგროვებული შესაწირით იშლება სუფრა. თანამედროვე საქართველოში ბერიკაობა ერთდღიანი დღესასწაულია, რომელიც დიდმარხვის წინ იმართება. ამ დღეს ბერიკები ხმაურით შემოივლიან სოფლებს, აკრეფენ შესაწირს, გაითამაშებენ გარკვეულ სცენებს და, საბოლოოდ, დღესასწაული სპორტული შეჯიბრითა და ნადიმით სრულდება.

ბუშოიარაში ყოველწლიური დღესასწაულია, რომელიც უნგრეთის ქალაქ მოჰაჩში იმართება. დღესასწაულისას ტრადიციულ ნიღბებში გამოწყობილი ადამიანები მსვლელობას აწყობენ, ცეკვავენ და ხალხურ სიმღერებს მღერიან. დღესასწაული საგაზაფხულო ციკლის დაწყებასა და ზამთრის გაცილებას (გაგდებას) აღნიშნავს. ამავე დროს, ესა თუ ის ლეგენდა მას თურქ დამპყრობლებთან ბრძოლასაც უკავშირებს. ბუშოებს (ნიღბიან მონაწილეებს) მოკლე ბეწვის ქურთუკები და ჩალით გატენილი შარვლები აცვიათ, სახეზე კი ტირიფის ხისგან გამოკვეთი-

ლი ცხვრის ტყავით გაწყობილი ნიღბები უკეთიათ. აქაც იმართება კარ-დაკარ ხმაურიანი მსვლელობა და შემოწირული საკვებ-სასმელი გროვდება. საბოლოოდ, მოედანზე კოცონს ანთებენ და ზამთარს ცეკვითა და ხმაურით ემშვიდობებიან.

ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ბუნების გამოღვიძებასთან დაკავშირებული უძველესი ტრადიციის ჰიბრიდულ ვერსიასთან, რომელიც აერთიანებს ტრადიციულ და ინოვაციურ ელემენტებს. უცვლელია დღესასწაულის თეატრალიზებული ასპექტი, ნაყოფიერებასთან დაკავშირებული არაერთი ელემენტი და მეტ-ნაკლებად მასობრივი ხასიათი. ამ ყაიდის დღესასწაულთა პოპულარობის მიზეზი სწორედ საკარნავალო-თეატრალიზებული ფორმაა. მათ მიმართ ინტერესი მზარდია და ისინი დაცულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსით. საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა ბერიკაობისა და ბუშოიარაშის შედარებითი ანალიზი საქართველოსა და უზგრეთის კულტურულ-ისტორიული სპეციფიკისა და თანამედროვე განვითარების ვექტორთა გათვალისწინებით.

Celebrations of nature's revival are attested in the cultures of many peoples throughout the world. In most cases, they take a carnival form and serve to ensure fertility. The beginning of the spring cycle was traditionally celebrated with masks, processions, various types of entertainment, sports games and rituals. Such spring celebrations have survived to this day in many cultures; among them, Berikaoba and Busójárás are still celebrated in Georgia and Hungary, respectively.

Berikaoba was an agricultural multi-day celebration of the revival of nature, which, along with religious, contained mythological and historical-ethnological elements. The festival followed a specific structure: masked "berikas" (exclusively men) would enact a play according to the roles they were assigned. The plot typically involved a groom attempting to marry his bride (kekela), and during the wedding ritual, an enemy (Tatar, Arab, etc.) comes, kills the groom, and kidnaps the bride. The remaining "berikas" try to revive the groom with the help of healing water, and eventually succeed. The revived "berika" defeats the enemies, frees the bride, and the marriage act is

enacted. Finally, a feast is spread with the offerings collected during the door-to-door procession. In modern Georgia, Berikaoba is a one-day festival held before Lent. On this day, the “berikas” noisily go around the villages, collect offerings, act out certain scenes, and finally the festival ends with a sports competition and a feast.

Busójárás is an annual festival held in the Hungarian city of Mohács. During the festival, people dressed in traditional masks organize a procession, dance, and sing folk songs. The festival is notable for the beginning of the spring cycle and the expulsion of winter. At the same time, a number of legends also connect it with the fight against Turkish invaders. Busós (the masked participants) wear short fur coats, straw-filled trousers and masks made of sheepskin and willow wood. Here, too, a noisy procession winds from house to house and donations of food and drink are collected. Finally, a bonfire is lit in the square, and winter is bid farewell with dancing and revelry.

In both cases, there is a hybridized version of the most ancient tradition related to the revival of nature, with traditional and innovative elements. The theatrical aspect of the holiday remains unchanged, along with a number of elements related to fertility, as well as a more or less mass character. It is precisely the carnival-theatrical form that is the reason for the popularity of this type of holiday. Interest in them is growing, and they are also protected by the status of a cultural monument. It is interesting to compare Berikaoba and Busójárás, taking into account the cultural-historical specifics of Georgia and Hungary and the vectors of modern development.

**სტუდენტების თეზისები**  
**Students' Abstracts**

---



თათია ბაჩიაშვილი, თამარ ბერაია  
Tatia Bachiashvili, Tamar Beraia

შანდორ პეტეფის პოეტური პარალელები  
ქართულ პოეზიაში და უნგრელი პოეტის გავლენა  
მე-19 საუკუნის მხატვრობაზე  
Poetic Parallels of Sándor Petőfi in Georgian Prose  
and its Influence on the 19th-Century Art

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ხელმძღვანელი: არპად ელესი  
Supervisor: Dr. Árpád Élés

საკვანძო სიტყვები: უნგრული და ქართული ხელოვნება, ინტერმედიალური  
კვლევები, მე-19 საუკუნის ლიტერატურა, შანდორ პეტეფი,  
ნიკოლოზ ბარათაშვილი  
Keywords: Hungarian and Georgian art, intermedial research, 19th-century literature,  
Sándor Petőfi, Nikoloz Baratashvili

მოხსენება შეეხება დიდ უნგრელ პოეტს, შანდორ პეტეფსა (Petőfi Sándor, 1823-1849) და მის შემოქმედებას, რომელსაც განსაკუთრებით დიდი ადგილი უკავია უნგრულ და ევროპულ ლიტერატურაში. მოხსენებაში საუბარია პეტეფის შემოქმედებასა და მის გავლენაზე მე-19 საუკუნის მხატვრობაზე. პეტეფის ლირიკაში ჭარბობს რომანტიზმისათვის დამახასიათებელი თემები, თავისუფლების და მისი იდეალიზაციის, ეროვნული თვითშეგნების საკითხები, ბუნების რომანტიზებული აღქმა და რევოლუციური იდეები. ყოველივე ეს სრულყოფილ სახეს სძენს შანდორ პეტეფის შემოქმედებას, რომელიც შთაგონების წყაროდ იქცევა ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთათვის. ამგვარი თემატიკითა და მოტივებით პეტეფის პოეზია ერთგვარ თანხვედრაშია ნიკოლოზ ბარათაშვილის (1817-1845), გენიალური ქართველი პოეტის, შემოქმედებასთან. მისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სიმბოლოა ცხენი, რომელიც გამოხატავს პიროვნული თავისუფლების, ბედთან დაუმორჩილებლობისა და თავგანწირვის იდეას. იგი ცხადყოფს, რომ თავისუფლებისთვის თავდადებული გმირი მუდამ ემხსოვრებათ და უკვალოდ არ ჩაივლის მისი სულისკვეთება.

ეკა ვარდოშვილის, ქართველი ლიტერატურათმცოდნის, აზრით, ბარათაშვილის „მერანი“ (1842) და პეტეფის „პეგასი“ 1847 წლიდან (*Az én Pegazusom*) საერთო ინსპირაციის, „ფარისის“ საგმირო ციკლის, შთაგონებითაა შექმნილი. მსგავსად ბარათაშვილის პოემისა, აქაც მთავარ ადგილს იკავებს თავისუფლებისა და გმირული თავგანწირვის იდეალი, როდესაც გმირი ეროვნულ მიზანს სწირავს ყოველივე პირადს.

პეტეფის პოეზიას ახასიათებს თემატიკური მრავალფეროვნება. ეს დასავლეთ ევროპას ერთგვარ წარმოდგენას უქმნიდა იმ დროის უნგრეთის შესახებ. ნაწილობრივ, პეტეფის პოეზიითაა ნაკარნახევი ისეთი დიდი და მნიშვნელოვანი მხატვრების შემოქმედება, როგორებიც იყვნენ შომა ორლაი-პეტრიჩი (Orlay-Petrich Soma, 1822-1880), მიჰაი მუნკაჩი (Munkácsy Mihály, 1844-1900), მიხაი ზიჩი (Zichy Mihály, 1827-1906) ან ლანდშაფტების ასახვის ოსტატი კაროი მარკო (Markó Károly, 1791-1860). მათი ნამუშევრები ხშირად ეხმიანება პეტეფის პოეტურ სახეებს, ეროვნულ სულისკვეთებას, ბუნების მისეულ ხედვას.

მოხსენების მიზანია შანდორ პეტეფის პოეზიის შესახებ არსებული სხვადასხვა ინტერპრეტაციის შეჯამება, ბარათაშვილის ლირიკასთან შედარება და, ამის საფუძველზე, ქართველი მკითხველისათვის

ცნობილი პოეტური ნიმუშების უფრო ფართო კულტურულ-ესთეტიკურ კონტექსტში გააზრება.

The presented paper explores the life and work of Sándor Petőfi (1823–1849), whose creative output occupies an especially prominent place in Hungarian and European Literature. The study examines Petőfi's literary corpus as well as its profound influence on 19th-century visual art.

In Petőfi's lyric poetry, certain central themes of Romanticism predominate: the ideal of freedom, national identity, the romanticized image of nature, and revolutionary fervor. These elements create a sense of completeness and serve as a source of inspiration for artists in different fields and various artistic disciplines. Based on thematic and motivative parallels, meaningful comparisons can be drawn between Petőfi's poetry and that of the Georgian poet Nikoloz Baratashvili (1817–1845). In Baratashvili's works, one of the most significant symbols is the *horse*, which embodies personal freedom, defiance against fate, and self-sacrifice. This symbol affirms the idea that a hero devoted to freedom will be eternally remembered and that such spiritual determination never fades without a trace. According to the Georgian literary scholar Eka Vardoshvili, Baratashvili's poem "Merani" (1842) and Petőfi's "Az én Pegazusom" ("My Pegasus", 1847) were inspired by a shared source, the heroic cycle "Faris". In Petőfi's poem, as in Baratashvili's, the central place is occupied by the ideal of freedom and heroic self-sacrifice, where the protagonist prioritizes national cause over personal destiny. Petőfi's poetry is distinguished by thematic diversity, through which Western Europe gained a certain understanding of nineteenth-century Hungary. The works of prominent painters like Soma Orlai Petrich (1822–1880), Mihály Munkácsy (1844–1900), Mihály Zichy (1827–1906) and the renowned master Károly Markó (1791–1860) were, to some extent, influenced by Petőfi's poetry. Their artistic creations frequently resonate with his poetic image, national spirit, and vision of nature.

This report aims to synthesize various interpretations within this thematic framework and to situate the poetry of Sándor Petőfi within a broader cultural and aesthetic context, through a comparative analysis with the lyric poetry of Nikoloz Baratashvili.

ნინო ბერაია  
Nino Beraia

**მორ იოკაის „ოქროვანი“ როგორც სოციალური უტოპია**  
**A Social Utopia – A Man with a Golden Touch by Mór Jókai**

გამზარი კაროლისსახელობის რეფორმატორული ეკლესიის  
უნივერსიტეტი (უნგრეთი)  
Gáspár Károli University of the Reformed Church in Hungary  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**ხელმძღვანელი: არპად ელემი**  
**Supervisor: Dr. Árpád Éles**

საკვანძო სიტყვები: უნგრული ლიტერატურა, მე-19 საუკუნის ლიტერატურა,  
მორ იოკაი, „ოქროვანი“, უტოპია  
**Keywords:** Hungarian literature, literature of the 19th century, Mór Jókai, *The Man  
with a Golden Touch*, utopia

მოხსენებაში განხილულია დიდი უნგრელი მწერლის, მორ იოკაის (Jókai Mór, 1825-1904) ნაწარმოები „ოქროვანი“ და მისი უტოპიური ხასიათი. იოკაის დიდი დამსახურება მიუძღვის უნგრული პროზის განვითარებაში. საოცრად მიმზიდველმა რომანებმა ავტორის სიცოცხლეშივე მოიპოვა საყოველთაო აღიარება და სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი მსოფლიო ლიტერატურაში. მისი შემოქმედებიდან ყველაზე გამორჩეულია 1873 წელს გამოქვეყნებული „ოქროვანი“ (*Az arany ember*). მე-19 საუკუნის უნგრული კაპიტალისტური ცივილიზაციით იმედგაცრუებული ავტორი რომანში მკაცრად კიცხავს ბურჟუაზიულ სამყაროს და გვიზიარებს საკუთარ სულიერ განცდებსა თუ აზრებს, მისწრაფებებს უკეთესი მომავლის მოსაპოვებლად. იოკაიმ ზუსტად იგრძნო ის განწყობა, რომელიც ამ პერიოდში სუფევდა და არსებული პრობლემები – უიმედობა, უსახლკარობა, ბურჟუაზიული საზოგადოებისგან გაქცევის სურვილი – ეს რომანის ცენტრალურ თემებად აქცია. უსამართლობით სავსე სამყაროში გმირები ცდილობენ. წინააღმდეგობა გაუწიონ ბოროტებას და ამ პროცესში თვითონვე არ მოექცნენ მავნე იდეალების გავლენის ქვეშ. მორ იოკაიმ მკითხველისთვის შექმნა სოციალური უტოპია, რომელიც სრულიად განსხვავდებოდა იმდროინდელი არასასურველი რეალობისგან და კაპიტალიზმის კორუფციით ტანჯულ ადამიანებს მყუდრო თავშესაფარს სთავაზობდა. სწორედ ამ მნიშვნელოვან საკითხებზე ყურადღების გამახვილებამ განსაზღვრა რომანის უდიდესი წარმატება. სწორედ რომანის სიუჟეტისა თუ პერსონაჟებისაგან მიიღო შთაგონება არაერთმა პოეტმა, მათ შორის, არჰად ზემპლენიმ, იენო სოკემ და იმტვან ჰავაშმა.

მოხსენებაში შევეცადეთ, დეტალურად განგვეხილა ეს საკითხები და, რომანზე დაყრდნობით, გაგვეანალიზებინა მე-19 საუკუნის უნგრეთში არსებული სოციალური და პოლიტიკურ რეალობა. 1975 წელს გამომცემლობა „მერანმა“ გამოაქვეყნა „ოქროვანის“ ქართული თარგმანი, რომელიც ლილი მათურაძემ შეასრულა.

The report discusses the work of the great Hungarian writer, Mór Jókai (1825 -1904), titled *The Man with a Golden Touch* and its utopian character. Jókai greatly contributed to the development of Hungarian prose. His novels achieved universal recognition even during his lifetime and forever estab-

lished a place in world literature. The most outstanding of his works is *The Man with a Golden Touch*, published in 1873.

Disillusioned with the Hungarian capitalist civilization of the 19th century, the author relentlessly criticizes the bourgeois world and in the novel shares with us his own spiritual feelings, thoughts, and aspirations for a better future. Jókai accurately felt the mood that prevailed during this period, hopelessness, homelessness, the desire to escape from bourgeois society, and turned them into the central themes of the novel. In a world full of injustice, the heroes try to resist evil and, in the process, not fall under the yoke of evil ideals themselves. For his reader, Mór Jókai created a social utopia that was very far from the undesirable reality of the time and offered a cozy refuge to people suffering from the corruption of capitalism.

It was precisely the focus on these critical issues that determined the greatest success of the novel. Several poets, including Árpád Zemplény, Jénó Szóke, and István Hávás, drew inspiration from the novel's plot or characters. This paper will attempt to examine these issues in detail and, at the same time, draw upon the novel to judge the social and political realities of 19th century Hungary.

**გვანცა ბზიკაძე, ქრისტინე ხობელია**  
**Gvantsa Bzikadze, Kristine Khobelia**

**უნგრული ენა – ისტორია, იდენტობა და**  
**ლინგვისტური თავისებურებები**  
**Hungarian Language – History, Identity and**  
**Linguistic Characteristics**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**ხელმძღვანელი: არპად ელემი**  
**Supervisor: Dr. Árpád Éles**

საკვანძო სიტყვები: უნგრული ენის ისტორია და ევოლუცია  
**Keywords: history and evolution of the Hungarian language**

უნგრული ენა თანამედროვე ევროპის ლინგვისტურ სივრცეში უნიკალურ ფენომენს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ იგი ინდოევროპული ენებით გარშემორტყმულ გარემოში არსებობს, მისი ფუნდამენტური სტრუქტურა ურალურ გენეტიკურ კოდს ინარჩუნებს. ნაშრომის მიზანია უნგრული ენის ტრანსფორმაციის, ისტორიის, იდენტობისა და ლინგვისტური თავისებურებების ანალიზი, დაწყებული ციმბირული ფუძეებიდან, დასრულებული დასავლურ ტიპოლოგიურ სტანდარტებამდე. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა „Mansic კვანძის“ ჰიპოთეზას, რომლის თანახმადაც, უნგრული ენა გამოეყო თავის უახლოეს ნათესავებს, მანსისა და ხანტის ენებს, ბრინჯაოს ხანაში. აკადემიური თვალსაზრისით, უნგრული ენის ისტორია სათავეს იღებს პროტოუნგრული ერთობის დაშლისას, დაახლოებით 2 500 წლის წინ. მიგრაციის პროცესისა და მომთაბარეობის პერიოდში (ძვ.წ. 500 – ახ.წ. 896) უნგრული ენა განიცდიდა მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას, რომელსაც სპეციალისტები „რადიკალურ რესტრუქტურნიზაციად“ მოიხსენიებენ. მიგრაციის სამხრეთ-დასავლურმა ვექტორმა უნგრული ენის ძირითადი რეორგანიზაცია მოახდინა, რაც ასევე განპირობებული იყო ძველ თურქულ და ირანულ თემებთან არსებული კონტაქტებით მომთაბარეობის პერიოდში. ეს პროცესი გამოიხატა ახალი ფონოლოგიური ფორმების ჩამოყალიბებითა და ძირეული ლექსიკის განახლებით. უნგრული ენის უნიკალურობა განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება მის გრამატიკულ და სტრუქტურულ სისტემაში. მოხსენებაში ყურადღება ეთმობა უნგრული მორფოლოგიის ორ ძირითად ასპექტს: ბრუნვათა სიმრავლესა და ხმოვანთა ჰარმონიას. უნგრული ენის იდენტობა საუკუნეების განმავლობაში ვითარდებოდა დასავლური კულტურის გავლენით. უნგრული ენა გახდა Standard Average European (SAE) ტიპოლოგიური მოდელის ნაწილი, რაც განსაკუთრებით გამოიხატა არტიკლების სისტემის ჩამოყალიბებით (a/az, egy), ასევე მიმღებების სტრუქტურული მოწესრიგებით, რამაც ჩაანაცვლა ძველი აზიური სინტაქსური სირთულე და ბუნდოვანება. უნგრული ენის გრამატიკული წყობა ეფუძნება აგლუტინაციას. სიტყვის ფუძეს თანმიმდევრულად ემატება სხვადასხვა გრამატიკული სუფიქსი, რის შედეგადაც წარმოიქმნება მრავალი ფორმა. ეს მექანიზმი განასხვავებს უნგრულს ევროპული ენების უმეტესობისგან და ანიჭებს მას ტიპოლოგიურ თავისებურებას. უნგრული ენა არის ცოცხალი, დინამიკური მაგალითი

იმისა, თუ როგორ შეუძლია ენას, შეინარჩუნოს თავისი გენეტიკური ფესვები. მისი ევოლუცია აჩვენებს, რომ უნგრული ენა არა მხოლოდ ინარჩუნებს თავის ისტორიულ მორფოლოგიურ და სინტაქსურ კოდს, არამედ იღებს და ერგება ევროპულ ტიპოლოგიურ ნორმებსა და სტანდარტებს. შედეგად, უნგრული ენა გვევლინება უნიკალურ ჰიბრიდულ სისტემად, რომელიც აერთიანებს ურალურ ფუძეებს, აზიურ და დასავლურ სტრუქტურულ ლოგიკას და იძლევა შესაძლებლობას, შევისწავლოთ, თუ როგორ ხდება გენეტიკური განვითარებისა და ტიპოლოგიური ადაპტაციის ურთიერთშერწყმა.

The Hungarian language represents a unique phenomenon within the linguistic landscape of modern Europe. Despite being surrounded by Indo-European languages, its fundamental structure preserves a distinct Uralic genetic code. This work analyzes the transformation, history, identity, and linguistic characteristics of Hungarian, tracing its evolution from Siberian roots to Western typological standards. Particular attention is given to the “Mansic Node” hypothesis, which suggests that Hungarian separated from its closest relatives – the Mansi and Khanty languages – during the Bronze Age.

According to the academic position, the history of the Hungarian language began with the dissolution of Proto-Hungarian unity approximately 2,500 years ago. During the period of migration and nomadism (500 BC–896 AD), the language underwent a “radical restructuring”. The southwestern migration vector triggered a fundamental reorganization, largely driven by contact with Turkic and Iranian communities. This process is manifested in the formation of new phonological forms and the renewal of core vocabulary. The uniqueness of Hungarian is most evident in its grammatical and structural systems. This analysis focuses on two primary aspects of Hungarian morphology: the abundance of grammatical cases and vowel harmony.

Over centuries, Hungarian identity evolved under the influence of Western culture. The language became part of the Standard Average European (SAE) typological model, evidenced by the development of an article system (a/az, egy) and the structural refinement of participles, which replaced ancient Asian syntactic complexities. The grammatical framework of Hungarian is based on agglutination, where various suffixes are added

sequentially to a word stem. This mechanism distinguishes Hungarian from most European languages and defines its typological character. Hungarian serves as a dynamic example of how a language maintains its genetic roots while adapting to European norms. Ultimately, it emerges as a unique hybrid system bridging Uralic foundations with Western structural logic, illustrating the seamless synthesis of genetic development and typological adaptation.

მარიამ ბულისკერია  
Mariam Buliskeria

ენა როგორც გადარჩენის მექანიზმი იმრე კერტესის  
„უბედობის“ მიხედვით  
Language as a Mechanism of Survival according to Imre  
Kertész's *Fatelessness*

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ხელმძღვანელი: არპად ელესი  
Supervisor: Dr. Árpád Éles

საკვანძო სიტყვები: უნგრული თანამედროვე ლიტერატურა,  
იმრე კერტესი, „უბედობა“

Keywords: Hungarian contemporary literature, Imre Kertész, *Fatelessness*

მოხსენებში გაანალიზებულია იმრე კერტესის (Kertész Imre, 1929-2016) რომანი „უბედობა“ (*Sorstalanság*, 1975; ქართულად გამოიცა 2019 წელს). აუშვიცსა და ბუხენვალდს გადარჩენილი კერტესი „უბედობაში“ პირად კატასტროფას შემაშფოთებელ მედიტაციად გარდაქმნის. გადარჩენილმა ავტორმა მემუარების დაწერას სხვა რამ ამჯობინა. ნარატორი მხატვრული დისტანცირების ხერხს მიმართავს და ემოციურად თავშეკავებულია. ამ არჩევანის შესატყვისად ფორმირდება რომანის ცენტრალური იდეა: ჩაგვრა არ ნიშნავს მხოლოდ ფიზიკურ ძალადობას, ის სიტყვების მეშვეობითაც შესაძლებელია. ბიუროკრატიული ენა ცვლის აღქმას, აყალიბებს გამოცდილებას და, საბოლოოდ, გადარჩენის ინსტრუმენტად იქცევა.

მთხრობელი მოზარდი, გიორგი, სასტიკ ამბავს მტკნარი ადმინისტრაციული ტონით გვიყვება. დეპორტაცია პროცედურათა თანმიმდევრობად აღიქმება. შერჩევა ოფიციალურ პროცესს ჰგავს. შიმშილი ადაპტაციის პირობად გადაქცეულა. გიორგი თანდათან ეუფლება წესრიგის, რეგულაციათა და აუცილებლობის ენას. ის დრამატული პროტესტის გარეშე აღწერს ტანჯვას. ამგვარი ენობრივი ცვლილება მას იცავს. უსულგულო სახაზინო ენა ქაოსს თითქოს აწესრიგებს და კომშარს ერთგვარად გასაგებს ხდის. როდესაც მოვლენები წესებითაა ნაკარნახევი, ისინი ნაკლებად მოულოდნელია. ბიჭს, რომელიც გამომწყვდეულია განადგურების მანქანაში ამგვარი ჩარჩო, ფსიქოლოგიურ სტაბილურობას სძენს.

თუმცა ამ ტიპის ადაპტაციას ეთიკური საფასური აქვს. ბიუროკრატიული ენა თანდათან აქრობს ინდივიდუალობას და ადამიანებს კატეგორიები ენაცვლება. პატიმარი თითქოს ფუნქციად გადაიქცევა. არაქმედიტუნარიანობა სისუსტის ნიშანია. სიკვდილი სისტემის ფარგლებში ბუნებრივი დასასრულია. მას შემდეგ, რაც ამგვარ ლექსიკას ითავისებს, გიორგის აზროვნებაც იცვლება და ის ბანაკის შესატყვისი კატეგორიებით იწყებს ფიქრს. ძლევამოსილება უკვე მის მიღმა როდი არსებობს, ის ცნობიერებაში აღწევს. თავდაპირველად ფიზიკური დომინაციის შედეგი დეჰუმანიზაცია იყო, ახლა კი თანდათან სისტემასთან ფსიქოლოგიური შეწყობა ხდება.

კერტესი ავლენს, რომ ენა უბრალოდ კი არ აღწერს რეალობას, არამედ მის კონსტრუირებას ახდენს. როცა სისასტიკე დადგენილ პროცედურათა ენაზე იწყებს მეტყველებას, ძალადობა ადვილად განსახორ-

ციელებლია და ის უჩვეულოც აღარ გვეჩვენება. რომანის თავშეკავებუ-  
ლი თხრობა მკითხველს აშფოთებს, რადგან სისტემის ლოგიკას ასა-  
ხავს. „უბედობაში“ გადარჩენა ენობრივ ტრანსფორმაციას მოითხოვს  
და ამგვარი გარდასახვა ავლენს ტოტალიტარული ძალაუფლების  
ყველაზე დიდ საშინელებას – თავად აზროვნების კოლონიზაციას.

A survivor of Auschwitz and Buchenwald, Imre Kertész(1929 – 2016) trans-  
forms personal catastrophe into a disturbing meditation on language in *Fate-  
lessness* (1975). Rather than writing a memoir driven by anger or lament, Kertész  
adopts fictional distance and emotional restraint. This choice shapes the novel's  
central insight. Oppression does not function only through physical violence. It  
also works through words. Bureaucratic language reshapes perception, structures  
experience, and ultimately becomes a tool of survival.

Through the adolescent narrator György, brutality unfolds in the calm tone  
of administration. Deportation appears as a sequence of procedures. Selection  
resembles an official process. Starvation becomes a condition to adjust to. György  
gradually adopts the vocabulary of order, regulation, and necessity. He describes  
suffering without dramatic protest. This linguistic shift protects him. Institutional  
language imposes structure on chaos. Structure makes horror intelligible. When  
events seem governed by rules, they feel less arbitrary. For a boy trapped inside a  
machinery of extermination, this framework offers psychological stability.

Yet this adaptation carries ethical weight. Bureaucratic speech erases  
individuality and replaces people with categories. Prisoners become functions.  
Weakness signals inefficiency. Death becomes an outcome within a system. As  
György internalizes this vocabulary, he begins to think within the logic of the  
camp. Power no longer remains external. It infiltrates consciousness. Dehumani-  
zation moves from physical domination to mental alignment.

Kertész reveals that language does not simply describe reality. It constructs  
it. Once cruelty adopts the tone of procedure, violence appears manageable and  
almost ordinary. The novel's restrained narration unsettles the reader because it  
mirrors the system's logic. In *Fatelessness*, survival demands linguistic transfor-  
mation, and this transformation exposes the deepest horror of totalitarian power:  
the colonization of thought itself.

**ნუცა გაგნიძე, სამირა ომაროვა**  
**Nutsa Gagnidze, Samira Omarova**

**ენის რეფორმა როგორც იდენტობის საფუძველი:  
უნგრული და ქართული მაგალითები**  
**Language Reform as the Foundation of Identity:  
Hungarian and Georgian Cases**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**ხელმძღვანელი: არპად ელემი**  
**Supervisor: Dr. Árpád Éles**

საკვანძო სიტყვები: ენის რეფორმა უნგრეთში და საქართველოში,  
ფერენც კაზინცი, ილია ჭავჭავაძე  
**Keywords:** language reform in Hungary and Georgia, Ferenc Kazinczy,  
Ilia Chavchavadze

უნგრული ენის რეფორმები მნიშვნელოვან იარაღად იქცა ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბების პროცესში კულტურული ასიმილაციისათვის წინააღმდეგობის გასაწევად. უნგრელი მწერალი ფერენც კაზინცი (Ferencz Kazinczy, 1759-1831) და მის გარშემო შეკრებილი ინტელექტუალები რეფორმის მთავარ მამოძრავებელ ძალად მიიჩნევიან. მათ ახალი ტერმინებისა და შესიტყვებების შექმნით უზრუნველყვეს ენის სიწმინდის დაცვა და შესაძლებელი გახადეს მისი ფართო გამოყენება როგორც საზოგადოებრივ, ისე ოფიციალურ სივრცეებში.

ამ პროცესმა მნიშვნელოვნად შეცვალა უნგრეთის კულტურული და სოციალური რეალობა. რეფორმის შედეგად, უნგრული ენა აკადემიური, ლიტერატურული, სამეცნიერო, პოლიტიკური თუ საგანმანათლებლო სფეროებისათვის უფრო ფუნქციური და მოქნილი გახდა. ამგვარად ჩაეყარა საფუძველი თანამედროვე უნგრული ენას.

თუკი საქართველოს გავიხსენებთ, ენობრივი თვითმყოფადობის გადარჩენისათვის ბრძოლის პროცესში გადამწყვეტი იყო ილია ჭავჭავაძისა და „თერგდალეულების“ მოღვაწეობა. ჭავჭავაძისეული ფორმულა „მამული, ენა, სარწმუნოება“ წარმოაჩენდა ენის, როგორც ერის არსებობის უპირველესი გარანტის, მნიშვნელობას. ილიამ, რომელმაც ენის მოდერნიზაცია მოახდინა, ის არქაული, მოძველებული ფორმებისგან გაათავისუფლა და ცოცხალ, ხალხურ მეტყველებასთან დაახლოვა. ამგვარი პროცესი მხოლოდ ენობრივ ცვლილებას არ გულისხმობდა, ეს რუსიფიკაციის პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკური აქტი გახლდათ და მან საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ქართულ საზოგადოებრივ ცნობიერებასა და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

მოხსენებაში მიმოხილულია უნგრული ენის რეფორმა, რომელიც ფერენც კაზინცის ხელმძღვანელობით XVIII-XIX საუკუნეებში განხორციელდა, მისი მნიშვნელობა უნგრეთის ეროვნული კონსოლიდაციისას და სხვ. ამასთანავე, გააზრებულია უცხოური დომინაციის პერიოდში ქართული ენისა და კულტურის შესანარჩუნებლად გაწეული ძალისხმევა, განსაკუთრებით კი, ილია ჭავჭავაძის როლი. ამ ორი მოძრაობის შედარებითი ანალიზი აჩვენებს, თუ როგორ იყენებდა ეს ორი ერი ენას, როგორც ლიტერატურულ თვითგამოხატვის ინსტრუმენტს, კულტურული წინააღმდეგობისას ეროვნული ერთიანობის გასაძლიერებლად. გარდა ამისა, შევეხებით გლობალიზაციის ეპოქაში ენობრივი მრავალ-

ფეროვნების შენარჩუნებასთან დაკავშირებულ გამოწვევებსა და ისტორიული გამოცდილებიდან მიღებულ გაკვეთილებს. მოხსენებაში წარმოჩენილია ეროვნული იდენტობის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და ენობრივი მრავალფეროვნების მნიშვნელობა უნგრული ენის რეფორმის როგორც ისტორიული, ისე თანამედროვე პერსპექტივიდან.

Hungarian language reforms became an important tool in the process of shaping national identity and resisting cultural assimilation. The Hungarian writer **Ferenc Kazinczy** (1759–1831) and the intellectuals gathered around him are considered the main driving force behind these reforms. Through the creation of new terms and expressions, they ensured the preservation of linguistic purity and promoted a wide use of the language in both public and official spheres.

This process significantly transformed Hungary’s cultural and social reality. As a result of these reforms, the Hungarian language became more functional and flexible in academic, literary, scientific, political, and educational fields, thereby laying the foundation for the modern Hungarian language.

In the Georgian context, the monumental work of **Ilia Chavchavadze** and the “**Tergdaleulebi**” group represents a similarly decisive stage in preserving linguistic and national identity. Chavchavadze’s definitive formula – “Language, Homeland, Faith” – emphasized the mother tongue as the primary guarantor of a nation’s spiritual and political existence. He spearheaded the radical modernization of the Georgian language, stripping away archaic, obsolete grammatical forms and aligning the written word with contemporary spoken speech. This process was not merely a literary shift; it was a deliberate political act of resistance against the Tsarist policy of Russification, effectively laying the groundwork for modern Georgian social consciousness and the national liberation movement.

This study examines the Hungarian language reform carried out under the leadership of **Ferenc Kazinczy** in the eighteenth and nineteenth centuries and its significance for the consolidation of Hungary’s national identity, particularly through the stabilization of grammatical norms. In parallel, the paper explores efforts to preserve the Georgian language and culture during periods of foreign

domination, with special attention to the role of Ilia Chavchavadze (1837–1907). A comparative analysis of these two movements demonstrates how both nations used language and literary self-expression to strengthen cultural resistance and national unity. In addition, the study addresses the challenges of preserving linguistic diversity in the era of globalization and the lessons drawn from historical experience. The paper emphasizes the importance of national identity, the protection of cultural heritage, and linguistic diversity, viewing the Hungarian language reform from both historical and contemporary perspectives.

შაფიგახანუმ გასანოვა, აისუნ მამედოვა  
Shafigakhanum Gasanova, Aysun Mamedova

ბუშოიარაში და აღდგომის ტრადიციები  
“Busójárás” and Easter Traditions

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ხელმძღვანელი: არპად ელემი  
Supervisor: Dr. Árpád Éles

საკვანძოსიტყვები: უნგრული ფოლკლორი, ეროვნული იდენტობა,  
ტრადიციები, რიტუალები, კულტურული მემკვიდრეობა  
**Keywords:** Hungarian folklore, national identity, traditions, rituals,  
cultural heritage

ბუშოიარაში (Busójárás) უნგრეთის ქალაქ მოჰაჩში Mohács ჩატარებული ტრადიციული კარნავალია, რომელიც ზამთრის დასრულებასა და გაზაფხულის დადგომას აღნიშნავს. ამ დღესასწაულის მთავარი სიმბოლოებია „ბუშოები“ – ნიღბიანი ადამიანები, რომლებიც ხის საშინელ ნიღბებსა და ტრადიციულ ტანსაცმელს ატარებენ. ხალხური გადმოცემის მიხედვით, ბუშოები ბოროტ სულებსა და სიცივეს ამევენ. დღესასწაული მუსიკით, ცეკვითა და სახალხო მსვლელობით აღინიშნება და უნგრეთის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილია.

სხვა მხრივ, ქრისტიანული სამყაროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დღესასწაული აღდგომაა, რომელიც იესო ქრისტეს აღდგომას უკავშირდება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იგი ისეთ ქვეყნებში, როგორცაა საქართველო და უნგრეთი, სადაც აღდგომას ღრმა რელიგიური და კულტურული ფესვები აქვს. საქართველოში ამ დღესასწაულს წინ უძღვის დიდი მარხვა, ხოლო აღდგომის დამეს საზეიმო ლიტურგია ტარდება. ტრადიციულად იღებება წითელი კვერცხები, რომლებიც სიცოცხლისა და აღორძინების სიმბოლოა.

ორივე ტრადიცია – Busójárás და აღდგომა – გაზაფხულთან, განახლებასთან და სიცოცხლის გამარჯვებასთან ასოცირდება. მიუხედავად იმისა, რომ ერთს წარმართული საფუძველი აქვს, ხოლო მეორეს – ქრისტიანული, ორივე დღესასწაული ხალხის იდენტობას, ერთიანობასა და კულტურულ მემკვიდრეობას აძლიერებს. ისინი ნათლად წარმოაჩენენ, თუ როგორ გადაეცემა ტრადიციები თაობიდან თაობას და როგორ ინარჩუნებს საზოგადოება საკუთარ კულტურულ უნიკალურობას გლობალიზაციის პირობებში.

Busójárás is celebrated every year in the Hungarian town of Mohács and is considered one of the unique and lively folk festivals in Central Europe. The festival's main purpose is to symbolically mark the end of the cold winter season and welcome the arrival of spring. The central figures, known as the “Busós,” wear large carved wooden masks, traditional woolen clothing, and often carry wooden sticks. These masks and costumes are meant to scare away evil spirits, negative energy, and the remnants of winter. Researchers believe that Busójárás has roots in ancient pagan rituals connected to fertility,

harvest, and seasonal changes. Over time, however, the festival has evolved into a major cultural event that not only attracts tourists but also strengthens the national and local identity of the Hungarian people. Music, dancing, parades, and community gatherings are important parts of the celebration, creating a lively and inclusive atmosphere.

Easter is one of the most important religious holidays in the Christian world, marking the resurrection of Jesus Christ from the dead. It holds particular significance in countries such as Georgia and Hungary. In Georgia, Easter is preceded by a forty-day period of fasting, during which people avoid certain foods and focus on spiritual reflection. On Easter night, special church services are held, including the midnight liturgy, which is attended by many believers. One of the most visible and widely practiced traditions is dyeing eggs red, a symbol of life, blood, sacrifice, and rebirth. Families often exchange these eggs as a gesture of goodwill and community spirit.

Although Busójárás and Easter have very different historical, cultural, and religious origins, they share a common theme: renewal, the triumph of life, and the strengthening of social bonds. Both celebrations allow communities to come together, preserve cultural heritage, and pass traditions from one generation to the next. In my opinion, these festivals show how cultural identity can survive and thrive even in a globalized world, and they remind people of the importance of community, continuity, and shared values.

ნინო გახარია, თამარ ჭანუყვაძე  
Nino Gakharia, Tamar Chanukvadze

მე-19 საუკუნის ხიდი - გმირები ფარდებს მიღმა,  
რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ზიჩისა და  
ქართული კულტურის დაკავშირებაში  
**The Bridge of the 19th Century - Heroes Behind the Curtains,  
Those Who Made a Great Contribution to Connecting Zichy  
and Georgian Culture**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ხელმძღვანელი: არპად ელეში  
Supervisor: Dr. Árpád Éles

საკვანძო სიტყვები: მიხაი ზიჩი, „ვეფხისტყაოსანი“, ილუსტრაციები  
Keywords: Mihály Zichy, *The Knight in the Panther's Skin*, illustrations

მიხაი ზიჩი (Zichy Mihály, 1827-1906) იყო უნგრელი მხატვარი, რომლის შემოქმედებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა როგორც უნგრულ მხატვრობაზე, ისე მე-19 საუკუნის ევროპასთან კულტურულ ურთიერთობებზეც. დიდა ზიჩის გავლენა არა მხოლოდ მისი ქვეყნის კულტურაზე, არამედ საქართველოზეც, პატარა, მაგრამ დიდი კულტურული ტრადიციის მქონე ქვეყანაზე, რომელსაც იმ ეპოქაში სიახლე ჰაერივით სჭირდებოდა. ამას გულისხმობდა ილია ჭავჭავაძე, როდესაც ამბობდა, რომ მთავარი ქვეყნის კეთილდღეობისათვის მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობაა. მანვე ჩამოიყვანა ზიჩი საქართველოში, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა როგორც მხატვრულ ცხოვრებაზე, ისე საზოგადოებრივ აზრზე, რადგან ზიჩის ილუსტრაციებმა ქართულ სივრცეში ახალი ხედვა და ევროპული მხატვრული გამოცდილება შემოიტანა.

ზიჩის მიერ შესრულებულმა „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებმა ქართული საზოგადოების გაერთიანების პროცესში განსაკუთრებული როლი ითამაშა. ეს ნამუშევრები არაა მხოლოდ ლიტერატურული ტექსტის ვიზუალური გაფორმება, ეს ეროვნული თვითშეგნების, ისტორიული მეხსიერებისა და კულტურული იდენტობის ღრმა მხატვრული გამოხატულებაა. ზიჩის ილუსტრაციები გამოირჩევა კომპოზიციური სიზუსტით, შტრიხების დინამიკითა და პერსონაჟების ფსიქოლოგიური სიღრმით, რაც პოემის ემოციურ და სიმბოლურ შინაარსს კიდევ უფრო აძლიერებს. ეს ილუსტრაციები მკითხველს შესაძლებლობა აძლევს, პოემის სამყარო არა მხოლოდ ტექსტით, არამედ ვიზუალური ფორმითაც აღიქვას.

განსაკუთრებით საყურადღებოა ისიც, თუ როგორი იყო შემოქმედებითი პროცესი, როდესაც მხატვარი მუშაობდა. იგი იყენებდა ცოცხალ დადგმებს სხვადასხვა ქალაქში, აკვირდებოდა ადამიანთა მოძრაობას, ჟესტებსა და ემოციებს, რათა მხატვრული სახეები მაქსიმალურად რეალისტური და ექსპრესიული ყოფილიყო. ამ მიდგომით ზიჩი ცდილობდა, პოეტური სახეები ვიზუალურ ფორმებად ეთარგმნა და ამგვარად მკითხველის წარმოსახვასთან ერთგვარ დიალოგში შესულიყო.

როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი, ისე ზიჩის ნამუშევრები ვიზუალურად მკაფიოდ წარმოაჩენდა, რომ „თამარ მეფე ტახტზე“ არ არის მხოლოდ ისტორიული ფიგურის გამოსახულება, ის ეროვნული ერთიანობის, საზოგადოებრივი ჩართულობის, ეროვნული იდენტობისა და ევროპასთან კულტურული დიალოგის ძლიერი სიმბოლოა,

რომელიც ქართული კულტურის უნივერსალურ მნიშვნელობასა და მის ევროპულ კონტექსტში არსებობას წარმოაჩენს.

Mihály Zichy (1827-1906) was a Hungarian artist whose creative work had a significant influence not only on the artistic life of his homeland but also on cultural relations in nineteenth-century Europe. His artistic vision extended beyond national boundaries and gained particular importance in Georgia, a country of rich cultural heritage which, at that historical moment, urgently needed renewal and movement. This idea was strongly emphasized by Ilia Chavchavadze, who believed that movement and progress were essential for a nation's well-being. It was Chavchavadze who brought Zichy to Georgia, an event that had a considerable impact on both artistic life and public consciousness, as Zichy's illustrations introduced European artistic experience and new perspectives into the Georgian cultural space.

The illustrations of *The Knight in the Panther's Skin* created by Zichy played a crucial role in the process of uniting Georgian society. These works are not merely visual decorations of a literary text, they represent a profound artistic expression of national self-awareness, historical memory, and cultural identity. Zichy's illustrations are distinguished by compositional precision, dynamic line work, and psychological depth of character portrayal, all of which enhance the poem's emotional and symbolic resonance. Through these visual interpretations, readers were able to experience the poetic world not only through language but also through imagery.

Equally significant is the creative process through which Zichy produced these illustrations. He employed live staged scenes in various cities, closely observing human movement, gestures, and emotional expression in order to achieve realism and expressive intensity. Through this approach, Zichy sought to translate poetic imagery into visual form while engaging in a meaningful dialogue with the reader's imagination.

Thus, both *The Knight in the Panther's Skin* as a literary work and Zichy's visual interpretations emphasize that Queen Tamar on the Throne is not merely a representation of a historical figure, but a powerful symbol of national unity, civic engagement, cultural identity, and cultural dialogue between Georgia and Europe.

ანა გიგაური, თამარ ზაქაიძე  
Ana Gigauri, Tamar Zakaidze

უნგრული ხალხური მუსიკა: მოგზაურობა  
XVI და XVII საუკუნეებში  
Hungarian Folk Music: A Journey Through  
the 16th and 17th Centuries

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ხელმძღვანელი: არპად ელემი  
Supervisor: Dr. Árpád Éles

საკვანძო სიტყვები: უნგრული ფოლკლორი, ზეპირი ტრადიცია,  
სებესტიენ ტინოდი, ტრანსილვანია  
Keywords: Hungarian folklore, oral tradition, Sebestyén Tinódi, Transylvania

მოხსენებაში მიმოხილულია უნგრული ხალხური მუსიკის განვითარების დინამიკა XVI-XVII საუკუნეებში, როდესაც ოსმალეთის იმპერიის გავლენის ქვეშ მყოფი ქვეყანა პოლიტიკური ფრაგმენტაციის პროცესში იყო. კვლევის მიზანია, წარმოაჩინოს, თუ როგორ იქცა მუსიკალური ტრადიცია ეროვნული იდენტობის შენარჩუნების მექანიზმად. უნგრული ფოლკლორის გადარჩენაში უდიდესი როლი ითამაშა ზეპირსიტყვიერებამ, თუმცა XVI საუკუნეში ჩნდება ადრეული ნოტაციის ნიმუშებიც, კერძოდ, შებეშტიენ ტინოდი ლანტოსის (Tinódi Lantos Sebestyén, დაახლ. 1510-1556) შემოქმედებაში. მისი „კრონიკა“ (1554) ფასდაუდებელი წყაროა იმ ეპოქის მუსიკალური პრაქტიკის შესასწავლად. მოხსენებაში გაანალიზებულია საერო და სასულიერო მუსიკის სინთეზი, პროცესი, როდესაც ხალხური მელოდიები ხშირად საეკლესიო ჰიმნებში მკვიდრდებოდა. მუსიკალური მახასიათებლების თვალსაზრისით, განხილული პერიოდი სრულად მიეკუთვნება „მველ სტილს“, რომელიც არქაული სტრუქტურული ელემენტებით გამოირჩევა. მისთვის დამახასიათებელია სპეციფიკური დაღმავალი მელოდიური ხაზები, რომლებიც ხშირად ოქტავის ყველაზე დაბალ ნოტზე სრულდება და პენტატონური გამების (ხუთნოტიანი სისტემის) დომინირება, რაც მუსიკას მისტიკურ და აღმოსავლურ ელფერს სძენს. მნიშვნელოვანი კომპონენტია „პარლანდო-რუბატო“ – თავისუფალი რიტმული შესრულების მანერა, რომელიც, მკაცრი ტემპის ნაცვლად, სიტყვებითა და ემოციური აქცენტებითაა ნაკარნახევი. ამავე კონტექსტში განიხილება „შირატოშ“, ანუ გოდების სტილიც, ეს არის იმპროვიზაციული ვოკალური ხელოვნება, რომელიც ღრმა პერსონალური ტრაგიზმის გამოსახატავად გამოიყენებოდა და უნგრული მუსიკალური ექსპრესიის პიკს წარმოადგენს. ამ პერიოდში მელოდიები ხშირად იგებოდა მოკლე, განმეორებადი ფრაზების პრინციპით, რაც სტროფული სტრუქტურის სიმყარეს განაპირობებდა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რეგიონულ ვარიაციებს. ტრანსილვანია თავისი ავტონომიური სტატუსით იქცა კულტურულ თავშესაფრად, სადაც მუსიკის არქაული ფორმები ხელუხლებლად შენარჩუნდა.

ნაშრომში ასევე განხილულია ინსტრუმენტარული ტინოდისა და უნგრული ხალხური მუსიკის სხვადასხვა ეპოქიდან: გუდასტვირი (duda), ადრეული ვიოლინო (hegedű), კობოზი და მწყემსის ფლეიტები. მუსიკისა და ცეკვის განუყოფელი კავშირი ვლინდება სოციალურ რიტუალებში, რაც მოგვიანებით საფუძვლად დაედო ისეთ ცნობილ ფორ-

მებს, როგორცაა თუნდაც ჩარდაში. დასკვნის სახით აღნიშნულია, რომ, მიუხედავად დოკუმენტაციის სიმწირისა, XVI-XVII საუკუნეების მუსიკალური მემკვიდრეობა არის უნგრული კულტურის ფუნდამენტი, რომლის აღორძინებაც შესაძლებელი გახადა XX საუკუნის „ტანცჰაზის“ („ცეკვის კლუბის“) მოძრაობამ და ეთნომუსიკოლოგების (ბარტოკი, კოდაი) მოღვაწეობამ.

The paper explores the dynamics of Hungarian folk music development during the 16th and 17th centuries – a period when the country faced political fragmentation and significant Ottoman influence. The study aims to demonstrate how musical tradition served as a vital mechanism for preserving national identity.

Oral tradition played a paramount role in the survival of Hungarian folklore; however, the 16th century also saw the emergence of early notations, most notably in the works of Sebestyén Tinódi Lantos. His *Cronica* (published in 1554) serves as an invaluable primary source for studying the musical practices of that era. The research emphasizes the synthesis of sacred and secular music, where folk melodies were frequently adapted into church hymns. In terms of musical characteristics, this period is strictly defined as the “Old Style” characterized by descending melodic lines concluding on the octave’s lowest note and pentatonic scales that provide an archaic, Eastern resonance. A central component is the *parlando-rubato*, a free, speech-like rhythmic performance dictated by emotion rather than a rigid beat. Additionally, the Lament (*síratós*) style is analyzed as the peak of emotional expression, utilizing improvisational structures to convey profound grief. Special attention is given to regional variations. Transylvania, due to its semi-autonomous status, became a cultural haven where archaic musical forms remained intact. The paper also examines the Hungarian folk instrumentation, including the *duda* (bagpipe), the early *hegedű* (violin), the *koboz* (lute), and various shepherd’s flutes.

The inseparable link between music and dance is revealed through social rituals, which later laid the foundation for well-known forms such as the *csárdás*. In conclusion, despite the scarcity of contemporary documentation, the musical heritage of the 16th and 17th centuries constitutes the bedrock of Hungarian culture. Its preservation was further ensured by the 20th-century Táncház (Dance House) movement and the pioneering work of ethnomusicologists like Béla Bartók and Zoltán Kodály.

ანი ივანიძე, ქეთი მაისურაძე  
Ani Ivanidze, Ketí Maisuradze

რობერტ კაპას მიერ საქართველოში გადაღებული  
ფოტოსურათების ისტორია  
The History of Photographs Taken in Georgia by Robert Capa

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ხელმძღვანელი: არპად ელემი  
Supervisor: Dr. Árpád Éles

საკვანძო სიტყვები: რობერტ კაპა, უნგრელ-ამერიკელი ფოტოგრაფი,  
უცხოელი ფოტოგრაფები საქართველოში  
Keywords: Robert Capa, Hungarian-American photographer, foreign photographers  
in Georgia

რობერტ კაპა (Robert Caba, დაბადების სახელით – ენდრე ერნო პრიდმანი), საყოველთაოდ ცნობილი უნგრელ-ამერიკელი სამხედრო ფოტოგრაფი და ფოტოჟურნალისტი, 1913 წლის 24 ოქტომბერს ბუდაპეშტში დაიბადა. იგი ებრაულ ოჯახში გაიზარდა და 1931 წლამდე ცხოვრობდა უნგრეთის დედაქალაქში, შემდეგ კი მისი მოგზაურობა დაიწყო და მთელი ცხოვრება გასტანა. ზოგიერთი ისტორიკოსი და კრიტიკოსი რობერტ კაპას მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სამხედრო ფოტოგრაფად მიიჩნევს.

კაპა ფოტოკამერით აღბეჭდავდა ესპანეთის სამოქალაქო ომის, ჩინეთ-იაპონიის მეორე ომისა და მეორე მსოფლიო ომის მოვლენებს. ის არაბეთ-ისრაელის კონფლიქტისა და ინდოჩინეთის ომის მოწმეც იყო. რობერტ კაპას სიცოცხლე მუდმივად საფრთხის ქვეშ იყო, რადგან ფოტოგრაფი მუდმივად ცდილობდა, მოვლენები რაც შეიძლება ახლო მანძილიდან გადაეღო. ამგვარ დამოკიდებულებას კარგად გამოხატავს მისი ცნობილი გამონათქვამი: „თუ თქვენი ფოტოები არ არის საკმარისად კარგი, ესე იგი თქვენ არ ხართ საკმარისად ახლოს. მეორე მსოფლიო ომის დოკუმენტირებისას მიღწეული წარმატებებისათვის ამერიკელმა გენერალმა დუაიტ დ. ეიზენჰაუერმა კაპა „თავისუფლების მედლით“ დააჯილდოვა. იმავე წელს კაპამ პარიზში დააარსა ფოტოგრაფთა კოოპერატიული სააგენტო Magnum Photos. ეს იყო ამ ტიპის პირველი ორგანიზაცია, განკუთვნილი თავისუფალი ფოტოგრაფებისთვის.

რობერტ კაპას ეკუთვნის 1947 წელს საქართველოში გადაღებული ფოტოსურათებიც. ეს ფოტოსერია შეიქმნა მოგზაურობისას, როდესაც კაპა და ამერიკელი მწერალი ჯონ სტაინბეკი საბჭოთა კავშირის სამ რესპუბლიკას – რუსეთს, უკრაინასა და საქართველოს – სტუმრობდნენ. შემდეგ ჯონ სტაინბეკმა დაწერა წიგნი „რუსული დღიური“, ილუსტრირებული რობერტ კაპას ფოტოებით, რომელიც 1948 წელს გამოიცა.

კაპას მიერ საქართველოში გადაღებულ ფოტოებს განსაკუთრებული ისტორიული ღირებულება აქვს, რადგან მათში ნათლად არის ასახული, ერთი მხრივ, იმდროინდელი საბჭოთა კავშირის რეალობა და, მეორე მხრივ, ქართველი ხალხის ყოფითი გარემო და ყოველდღიური ცხოვრება.

შავ-თეთრი ფოტოების სერია მოიცავს მტკვრის სანაპიროს, აკაკი წერეთლის საფლავის ქვის, ქართული ქორწილის, წირვა-ლოცვის, ივა-

ნე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოსა და თბილისის პანორამული ხედების ამსახველ კადრებს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში გადაღებული ფოტოები პირველად 2003 წელს გამოიცა და გამოფენილი იყო თბილისში მამუკა ხაზარაძის ფინანსური მხარდაჭერითა და საქართველოში აშშ-ის საელჩოს მონაწილეობით.

Robert Capa (born Endre Ernő Friedmann) was a world-renowned Hungarian-American war photographer and photojournalist. He was born on October 24, 1913, in Budapest. Capa grew up in a Jewish family and lived in the Hungarian capital until 1931, when the period of constant travel that defined his life began. Many historians and critics consider him one of the greatest combat and adventure photographers in history.

Throughout his career, Capa documented events with his camera during the Spanish Civil War, the Second Sino-Japanese War, and World War II on the European battlefields. He also witnessed the Arab-Israeli conflict and the war in Indochina. He repeatedly risked his life, as he constantly sought opportunities to photograph events from the closest possible distance. His famous quote reflects this attitude: “If your pictures aren’t good enough, you aren’t close enough.” For his achievements in documenting World War II, Capa was awarded the Medal of Freedom by U.S. General Dwight D. Eisenhower. In the same year, Capa co-founded the photographers’ cooperative agency Magnum Photos in Paris, which became the world’s first organization of its kind for independent photographers.

Considering all of this, Robert Capa’s body of work also includes photographs taken in Georgia in 1947. This series was created during a journey when Capa and the American writer John Steinbeck visited three former Soviet republics: Russia, Ukraine, and Georgia. After completing the journey, Steinbeck wrote the book “A Russian Journal,” illustrated with photographs by Robert Capa, which was published in 1948. The photographs taken by Capa in Georgia possess significant historical value. On the one hand, they clearly reflect the social reality of the Soviet Union of that period; on the other hand, they portray the everyday life and living environment of the Georgian people. The black and white series of photographs include images of the banks of the

Mtkvari River, Akaki Tsereteli's gravestone, a Georgian wedding feast, the courtyard of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, prayer in a monastery, and panoramic views of the city of Tbilisi.

It is noteworthy that the photographs taken in Georgia were first published and exhibited in Tbilisi in 2003, with the financial support of Mamuka Khazaradze and the participation of the U.S. Embassy in Georgia.

**მარიამ ლიპარტელიანი, ანასტასია ცუცქირიძე**  
**Mariam Liparteliani, Anastasia Tsutsikirdze**

**ჩონტვარის ცხოვრება და შემოქმედება**  
**The Life and Works of Csontváry**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**ხელმძღვანელი: არპად ელესი**  
**Supervisor: Dr. Árpád Éles**

საკვანძო სიტყვები: უნგრული ფერწერა, ჩონტვარი, სიმბოლოზმი, სულიერი  
ძიება, მარტოობა

**Keywords:** Hungarian painting, Tivadar Csontváry Kosztká, symbolism, loneliness and  
isolation, spiritual quest

მოხსენება მიზნად ისახავს, წარმოაჩინოს უნგრელი მხატვრის, ჩონტვარის, ბიოგრაფია და შემოქმედება. ტივადარ ჩონტვარი კოსტკა (Csontváry Kosztká Tivadar, 1853-1919), რომელიც ჩონტვარის სახელითაა ცნობილი, უნგრული ფერწერის ერთ-ერთი ყველაზე ორიგინალური და გამორჩეული წარმომადგენელია. ჩონტვარის ცხოვრება საცხე იყო მარტობით, შინაგანი ბრძოლითა და გაუცხოებით, რამაც გამოხატულება ჰპოვა მის შემოქმედებაში. მხატვარი ასახავს ბუნებას, ზოგადად ადამიანსა და მის სულიერ განცდებს, რითაც ქმნის სიმბოლურ, მისტიკურ და ემოციურად დატვირთულ მხატვრულ სამყაროს. მისი ნამუშევრები არა მხოლოდ ვიზუალურადაა შთაბეჭდავი, არამედ მაყურებელს სიღრმისეული ინტერპრეტაციის შესაძლებლობასაც აძლევს. მოხსენებაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ჩონტვარის სამ მნიშვნელოვან ტილოს: „მოხუცი მეთევზე“, „მარტოხელა კედარი“ და „პილიგრიმობა ლიბანის კედრებთან“.

„მოხუცი მეთევზე“, ერთი შეხედვით, ზღვის ფონზე უბრალო მოხუცი მეთევზის გამოსახულებაა, თუმცა ნახატი რეალისტური პორტრეტის ფარგლებს სცდება და ფსიქოლოგიურ და ფილოსოფიურ ალეგორიად გარდაიქმნება. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის სიმბოლური გამოსახვა თავად ჩონტვარის შინაგანი სამყაროსი, ხელოვანისა, რომელიც საზოგადოებისგან იზოლირებულად გრძნობდა თავს. „მარტოხელა კედარი“ მარტობის, სულიერი სიმტკიცისა და შინაგანი ძალის გამოხატულებაა. მარტომყოფი ძლიერი ხე თითქოს მეტაფორაა თავად ჩონტვარისა, რომელიც, ქარიშხლის (რთული ცხოვრების) მიუხედავად, კვლავ დგას. იმავდროულად, კედარი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ბიბლიურ სიმბოლოდ მიიჩნევა, რაც ნამუშევარს დამატებით სიღრმეს ანიჭებს. სხვა მხრივ, „პილიგრიმში“ ერთმანეთს ერწყმის ბუნების მონუმენტურობა და ისტორიული კონტექსტი. მაღლა აღმართული კედრები და დიდი სივრცე ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ამგვარ გარემოში ადამიანი უმნიშვნელოა, თუმცა ის, იმავდროულად, სულიერი ძიების პროცესშია. ტილოზე გამოსახული მომლოცველები მიემართებიან კედრებისკენ, რაც ჭეშმარიტების, სიბრძნის ან ღვთაებრივი სინათლის ძიებად აღიქმება. ეს ნამუშევარი აჩვენებს ჩონტვარის უნიკალურ ხედვას, სადაც ლანდშაფტი და ადამიანის ემოციები დიდებულ სიმბოლურ სცენაში ერთიანდება.

მაშასადამე, ჩონტვარის შემოქმედება თავს უყრის სიმბოლიზმს, ექსპრესიონიზმის ელემენტებსა და მისტიკურ-ფილოსოფიურ ხედვას.

ამგვარად, მხატვარს განსაკუთრებული ადგილი აქვს არა მხოლოდ უნგრულ, არამედ ევროპულ ხელოვნებაში. სწორედ ამ ძირითად საკითხებს შეეხება მოხსენება.

The paper aims to present the biography and artistic work of the Hungarian painter Csontváry. Tivadar Csontváry Kosztka (1853–1919) is one of the most original and outstanding representatives of Hungarian painting. His life was marked by loneliness, inner struggle, and alienation from society. All of this was directly reflected in his works. Csontváry's art unites nature, the human being, and spiritual experiences, creating a symbolic, mystical, and emotional artistic world. His works are not only visually impressive but they also offer the viewer the possibility of interpretation. The paper will pay particular attention to three major paintings: *The Old Fisherman*; *The Lonely Cedar*; and *Pilgrimage to the Cedars in Lebanon*.

At a glance, the first picture is a simple portrait of an old fisherman against the background of the sea; however, the painting goes beyond a realistic portrait and transforms into a psychological and philosophical allegory. It may be perceived as a symbol of Csontváry's own inner world, that of an artist who felt isolated from society. *The Lonely Cedar* represents a symbol of loneliness, spiritual resilience, and inner strength. The solitary, powerful tree seems to be a metaphor for Csontváry himself, who, despite the storm, meaning a difficult life, continues to stand. Moreover, the cedar is considered one of the principal symbols in biblical and cultural contexts, which gives the work additional meaning. *Pilgrimage* combines the monumentality of nature, spiritual quest, and historical context; the towering cedars and the vast space create the impression that the human being is small and insignificant within this environment, yet at the same time engaged in a process of spiritual searching. The pilgrims move toward the cedars, which may signify the search for truth, wisdom, or divine light. This work demonstrates Csontváry's unique vision, in which landscape and human emotions merge into a grand, symbolic scene.

Thus, Csontváry's art combines symbolism, elements of expressionism, and a mystical-philosophical vision, giving him a special place not only in Hungarian but also in European art. These are the main issues addressed in the paper.

გოჰარ მკრტჩიანი, მარიანა მკრტჩიანი  
Gohar Mkrtchian, Mariana Mkrtchian

**„მდიდარი უნგრელი” – მორ იოკაის რომანი**  
**“A Hungarian Nabob” – Analysis of Mór Jókai’s Novel**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ხელმძღვანელი: არპად ელესი  
Supervisor: Dr. Árpád Éles

საკვანძო სიტყვები: უნგრული ლიტერატურა, მორ იოკაი, „მდიდარი უნგრელი”  
(რომანი)

Keywords: Hungarian literature, Mór Jókai, *A Hungarian Nabob* (novel)

მორ იოკაის (Jókai Mór, 1825-1904) სამშობლოში დღემდე „დიდ უნგრელ მთხრობელს“ უწოდებენ, რადგან მისმა შემოქმედებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა უნგრული პროზის განვითარების საქმეში. იოკაის პროზა პოპულარული იყო არა მხოლოდ უნგრეთში, არამედ საზღვარგარეთაც. მას თანადროულ ევროპელ მწერლებს ადარებდნენ.

მორ იოკაი, რომელიც ძირითადად ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდა, იმავდროულად, მონაწილეობდა ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მან სრულიად ახალგაზრდამ, 18 წლის ასაკში, დაიწყო მოთხრობებისა და რომანების გამოქვეყნება, ხოლო 1848 წელს აქტიურად ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში, რომელიც მიზნად ისახავდა ავსტრიული მმართველობისგან უნგრეთის განთავისუფლებას. იოკაი იმ პიროვნებათა შორის იყო, რომლებიც ხალხს ცვლილებებისაკენ სწრაფვას შთააგონებდნენ.

მორ იოკაის ნაყოფიერი შემოქმედება ასზე მეტ ტომს ითვლის. მიუხედავად იმისა, რომ იოკაი ისტორიულ რომანებსაც წერდა, ხოლო გვიან პერიოდში მის შემოქმედებაში უტოპიური, სათავგადასავლო ლიტერატურისა და სამეცნიერო ფანტასტიკის ელემენტებიც შეინიშნება, იგი მაინც უნგრული რომანტიზმისა და რეალიზმის წარმომადგენლად მიჩნევა. მისი პროზა გამოირჩევა მდიდარი ფანტაზიით, მკაფიო აღწერილობებით, ადამიანური ბუნების დრმა წვდომითა და უნგრელი ხალხის ისტორიისადმი ინტერესით. მან ეკუთვნის მრავალი რომანი და მოთხრობა, დრამა, ჟურნალისტური ტექსტები. მისმა ადრეულმა შემოქმედებამ ფრანგული რომანტიზმის გავლენა განიცადა, თუმცა მოგვიანებით მიოკაიმ შეიმუშავა საკუთარი, გამორჩეული სტილი. იოკაის შემოქმედებაში რეალური ცხოვრებისეული გამოცდილება და ისტორიული კონტექსტი რომანტიკულ და სათავგადასავლო ელემენტებთან ერთად არის გამოხატული. როგორც ვთქვით, მორ იოკაის მოღვაწეობა არ შემოიფარგლება მხოლოდ მხატვრული ლიტერატურით. მან შექმნა გაზეთი *Hon* („სამშობლო“), რომლის მეშვეობითაც ეწეოდა ეროვნული იდეების პოპულარიზაციას და ეხმიანებოდა თავისი დროის მწვავე სოციალურ საკითხებს.

მორ იოკაის ნააზრევში ცენტრალურ ადგილს იკავებს უნგრეთის ისტორიისა და ეროვნული იდენტობის საკითხები. იგი ოსტატურად ასახავდა უნგრელი ერის წარსულს და ადამიანთა ბედს ისტორიულ მოვლენების ფონზე. იოკაის სამი ნაწარმოები – „გულქვა კაცის შვი-

ლები“ (*A kőszívű ember fiai*, 1869), „შავი ალმასები“ (*Fekete gyémántok*, 1870) და „ოქროვანი“ (*Az arany ember*, 1872) – ნათარგმნი და გამოცემულია ქართულ ენაზეც.

მოხსენებაში განხილულია მორ მიოკაის შემოქმედების მთავარი ეტაპები, ასევე გაანალიზებულია რომანი „მდიდარი უნგრელი“ (*Egy magyar nábob*, 1853). ამ ნაწარმოებს უნგრული ლიტერატურის ისტორია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, თუმცა ქართველი მკითხველისთვის ის მეტწილად უცნობია.

Mór Jókai (1825–1904) is still referred to in his homeland as “the great Hungarian storyteller”, as his work played a decisive role in the development of Hungarian prose. His fiction enjoyed wide popularity not only in Hungary but also abroad, and he was frequently compared to his contemporary European writers.

Alongside his literary activity, he was actively engaged in the public life of his country. In 1848, he took an active part in the revolutionary movement aimed at liberating Hungary from Austrian rule. He was among those who inspired the public to strive for transformation.

His prose combines lived experience and historical context with romantic and adventurous elements. It is characterized by a rich imagination, vivid descriptions, a profound understanding of human nature, and a sustained interest in Hungarian history. He is recognized as a representative of Hungarian Romanticism and Realism, though his later works, elements of utopian literature, adventure fiction, and early science fiction are evident. Jókai’s oeuvre is remarkably extensive, comprising more than one hundred volumes. He authored numerous novels and short stories. His early work was influenced by French Romanticism, yet he gradually developed a distinctive and original style.

It is also important to note that Jókai was not solely devoted to creative writing. He founded the newspaper *Hon* (“Homeland”), through which he promoted national ideas and addressed the pressing social issues of his time.

Hungarian history and national identity occupy a central place in his thought. He wrote masterfully about his nation’s past, portraying the fate of

individuals against the backdrop of historical events. Three of his works have also been published in Georgian translation. In addition to surveying the principal phases of Jókai's literary career, the present report offers an analysis of the novel *A Hungarian Nabob* (1853), a work to which Hungarian literary history accords great importance and which remains largely unknown to Georgian readers.

ლიზა მურადაშვილი  
Liza Muradashvili

1956 წლის უნგრეთის რევოლუციის გამოძახილი ქართულ  
პოლიტიკურ ემიგრაციაში  
The Impact of the 1956 Hungarian Revolution on Georgian  
Political Emigration

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ხელმძღვანელი: არპად ელემი  
Supervisor: Dr. Árpád Éles

საკვანძოსიტყვები: უნგრეთის რევოლუცია, ქართული პოლიტიკური  
ემიგრაცია, ანტისაბჭოთა წინააღმდეგობა, საერთაშორისო სოლიდარობა  
**Keywords:** Hungarian Revolution, Georgian political emigration, anti-Soviet resistance,  
international solidarity

1956 წლის ოქტომბერ-ნოემბრის უნგრეთის რევოლუცია, რომელიც საბჭოთა სამხედრო ინტერვენციით დასრულდა, მალევე იქცა ეროვნული თავისუფლებისა და ანტისაბჭოთა წინააღმდეგობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სიმბოლოდ ევროპაში. ამ მოვლენებმა განსაკუთრებული რეზონანსი პოვა ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში, განსაკუთრებით, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთულ წრეებში.

საკითხის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ 1956 წლის მოვლენების რეფლექსია ქართულ ემიგრანტულ სივრცეში დღემდე ნაკლებად არის შესწავლილი, თუმცა ის მნიშვნელოვანია ემიგრაციის პოლიტიკური იდენტობისა და საერთაშორისო სოლიდარობის ფორმების გააზრებისას.

მოხსენების მიზანია, გამოავლინოს, რა ფორმებითა და შინაარსით გამოეხმაურა ქართული ემიგრაცია უნგრეთის რევოლუციას. მოხსენება ეყრდნობა გაზეთ „ჩვენი დროის“ (1957) მასალებსა და ევროპულ პრესაში გამოქვეყნებულ წერილებს.

წყაროები ცხადყოფს, რომ ემიგრაციაში მყოფი ქართველი სოციალ-დემოკრატები თანაგრძობასა და მხარდაჭერას უცხადებდნენ უნგრელ ხალხს და აქტიურად ერთვებოდნენ საერთაშორისო ანტისაბჭოთა კამპანიაში. მაგალითად, მიუნხენში მცხოვრებმა პარტიის წევრმა – კორძაიამ – გერმანულ პრესაში გამოაქვეყნა რამდენიმე სტატია, რომლებშიც გააანალიზა უნგრეთის რევოლუციის მიზეზები და საბჭოთა ინტერვენციის შედეგები. დაჩაგრულ ერთა კავშირის ინიციატივით მიუნხენში გამართულ მიტინგზე ქართველთა სახელით სიტყვით გამოვიდა ნიკო იმნაიშვილი. სწორედ ამ მიტინგზე იქნა მიღებული რეზოლუცია, რომელიც მოითხოვდა უნგრეთიდან საბჭოთა ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანას.

ჟენევაში ხარიტონ შავიშვილმა ევროპულ პრესაში გამოაქვეყნა წერილები, რომლებშიც ქედს იხრიდა თავისუფლებისთვის მებრძოლი უნგრელი ხალხის წინაშე. პარიზში გამართულ გლეხთა საერთაშორისო კონგრესზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ნოე ცინცაძე, რომელმაც ასევე გამოხატა სოლიდარობა და მხარდაჭერა უნგრელი ხალხის მიმართ. ამასთანავე, ქართულ ეკლესიებში აღესრულა პანაშვიდები რევოლუციისას

დაღუპულთა სულებისათვის და მიღებულ იქნა მხარდამჭერი რეზოლუციები.

პოლიტიკურ აქტივობას თან სდევდა მორალური თანაგრძნობაც, რაც გამოიხატა მწერალ სილოვან ნარიმანიძის ლექსში. ლექსში გაჟღერებული სიტყვები – „ჩვენ მადიარებს ტყვიას არ ვესვრიო“ – ასახავს ქართველი ჯარისკაცების ეთიკურ წინააღმდეგობას უსამართლო ბრძანების მიმართ და თავისუფლებისათვის ბრძოლის გზაზე ამ ორ ხალხის ერთობის სიმბოლოდ გვევლინება.

1956 წლის უნგრეთის რევოლუციამ ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში მხოლოდ თანაგრძნობისა და სოლიდარობის ტალღა როდი გამოიწვია, ის საკუთარი ისტორიული გამოცდილების გაზრებისა და პოლიტიკური იდენტობის განმტკიცების მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა. ემიგრანტულმა წრეებმა უნგრეთის მოვლენებში ამოიცნეს საერთო ბედისწერა – საბჭოთა ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა და ეროვნული თავისუფლებისკენ სწრაფვა.

The Hungarian Revolution of October–November 1956, which was suppressed by Soviet military intervention, became a powerful symbol of national freedom and anti-Soviet resistance in Europe. This paper examines how these events were reflected within Georgian political emigration, particularly among circles of the Georgian Social Democratic Party abroad – an area that remains insufficiently studied despite its significance for understanding political identity and international solidarity.

Based on materials from the newspaper *Our Flag* (1957) and articles published in the European press, the study demonstrates that Georgian Social Democrats in exile expressed strong sympathy and active support for the Hungarian people.

Beyond political activism, moral and emotional support was also expressed in cultural form, notably in Silovan Narimanidze's poem declaring, "We will not fire bullets at the Magyars," symbolizing ethical resistance and the shared struggle for freedom.

The study concludes that the Hungarian Revolution not only inspired sympathy within Georgian emigration circles but also strengthened their political identity and deepened their sense of shared historical destiny in resisting Soviet domination and striving for national freedom.

აინურ მუსაევა, საბია ნიაზალოვა  
Ainur Musaeva, Sabia Niazalova

ბუნება როგორც პიროვნული და ეროვნული  
თვითგამოხატვის სივრცე შანდორ პეტეფის ლირიკაში  
Nature as a Space of Personal and National Self-Expression  
in the Lyrics of Sándor Petőfi

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ხელმძღვანელი: არპად ელეში  
Supervisor: Dr. Árpád Éles

საკვანძო სიტყვები: შანდორ პეტეფი, ბუნების სიმბოლიკა, ეროვნული  
იდენტობა, რომანტიკული პოეზია  
Keywords: Sándor Petőfi, symbolism of nature, national identity, romantic poetry

ეს მოხსენება მიზნად ისახავს შანდორ პეტეფის (Petőfi Sándor, 1821-1849) სამი მნიშვნელოვანი ლექსის – „მთის მდინარედ გადავიქცევი“ (*Lennék én folyóvíz*), „ღრუბლები“ (*A felhők*), „სამშობლოში“ (*Szülföldemen*) – სიღრმისეულ ლიტერატურულ-თეორიულ ანალიზს. კვლევის ამოცანაა, გამოავლინოს, თუ როგორ ფუნქციონირებს პეტეფის პოეტურ სისტემაში ბუნება მრავალშრიან სიმბოლურ სივრცედ, სადაც ერთმანეთს ერწყმის უნივერსალური სიყვარული, ეგზისტენციალური რეფლექსია და ეროვნული თვითშეგნება.

თუკი გავიხსენებთ პეტეფის ბიოგრაფიას, ასევე ისტორიულ კონტექსტს, დავრწმუნდებით, რომ ის არსებით გავლენას ახდენს პოეტის მსოფლხედვაზე. როგორც 1848-1849 წლების რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე, იგი თავისუფლებას აღიქვამდა არა მხოლოდ პოლიტიკურ მოთხოვნად, არამედ ადამიანად არსებობის საფუძვლად. სწორედ ამ ისტორიულ-კულტურულ ფონზე უნდა განვიხილოთ მისი ლექსები, რომლებშიც ინდივიდუალური ემოცია ხშირად გარდაიქმნება კოლექტიურ გამოცდილებად, ხოლო პირადი განცდა – ეროვნულ იდეალად.

ლექსში „მთის მდინარედ გადავიქცევი“ ცენტრალური მხატვრული პრინციპი მეტამორფოზაა. ლირიკული სუბიექტი გამოთქვამს სურვილს, გარდაიქმნას ბუნების სხვადასხვა სტიქიად, რათა საყვარელ არსებასთან სრულ ერთიანობას მიაღწიოს. აქ ტრანსფორმაცია მხოლოდ პოეტური ხერხი არ არის, ის აბსოლუტური სიყვარულის მისაღწევად იდენტობის საზღვრების გადალახვის სიმბოლური აქტია.

„ღრუბლებში“ პოეტური ხედვა მკვეთრად იცვლება. აქ ლირიკული გმირი დამკვირვებელია, რომელიც ბუნების მოძრაობაში საკუთარ შინაგან მდგომარეობას ამოიცნობს. ღრუბლების ცვალებადობა ემოციური არასტაბილურობის მეტაფორად გვევლინება. ტექსტში დომინირებს ინტროსპექცია და ფიქრიანი ტონალობა.

„სამშობლოში“ ლირიკული სუბიექტი უბრუნდება ზავშვობის დროინდელ გარემოს და აღფელდის ველს მეხსიერების ტოპოსად წარმოაჩენს. სამშობლო აქ არა მხოლოდ გეოგრაფიული კატეგორიაა, არამედ იდენტობის საფუძველი. ჟამთა სვლის მოტივი აძლიერებს განვლილი წარსულის განცდას, ხოლო ხალხური რეფრენი ტექსტს კოლექტიური მეხსიერების განზომილებას ანიჭებს.

სამივე ლექსის შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ, მიუხედავად ტონალური განსხვავებებისა, არსებობს ის, რაც მათთვის საერთოა – ბუნების სიმბოლური ფუნქცია და თავისუფლების იდეა. „მთის მდინარედ გადაქცევი“ გამოხატავს ვნებიან და აქტიურ სიყვარულს, „ღრუბლები“ – სულიერ კრიზისსა და რეფლექსიას, „სამშობლოში“ – ფესვებთან ნოსტალგიურ დაბრუნებას.

ამგვარად, პეტეფის პოეზია ქმნის ერთიან ესთეტიკურ სისტემას, სადაც სინთეზირებულია პიროვნული ემოცია და ეროვნული იდეალი. სწორედ ეს სინთეზი განაპირობებს მისი შემოქმედების უნივერსალურ კულტურულ მნიშვნელობას და აქტუალობას თანამედროვე ლიტერატურულ სივრცეში.

The paper offers a detailed literary-theoretical analysis of three significant poems by Sándor Petőfi – *Lennék én folyóvíz* (“I Would Become a Mountain Stream”), *A felhők* (“The Clouds”), and *Szülőföldemen* (“In My Homeland”). The primary objective of this study is to demonstrate how nature functions in Petőfi’s poetic system as a multilayered symbolic space where universal love, existential reflection, and national consciousness converge.

In “I Would Become a Mountain Stream”, metamorphosis serves as the central artistic principle. The lyrical subject expresses a desire to transform into various elements of nature in order to achieve complete unity with the beloved. This transformation is not merely a poetic device but a symbolic act of transcending the boundaries of identity. The river represents freedom and constant movement; the forest signifies strength and protection; the castle suggests endurance and permanence; the hut and fire evoke intimacy and warmth; the cloud and sunset symbolize transience and gentle melancholy. In contrast, “Clouds” presents a more introspective perspective, but in “In My Homeland”, the lyrical subject returns to the landscape of childhood, presenting the Alföld plain as a space of memory and identity formation. The homeland is depicted not simply as a geographical location but as a spiritual foundation. The motif of time intensifies the sense of lost childhood, while the folk refrain introduces a collective dimension to personal nostalgia. Individual memory becomes intertwined with national consciousness.

A comparative analysis of the three poems reveals that despite their tonal differences, they are united by the symbolic function of nature and the overarching idea of freedom. "I Would Become a Mountain Stream" expresses passionate and transformative love; "Clouds" embodies spiritual crisis and introspection; "Szülőföldemen" reflects nostalgic return and rooted identity. Together, these works form a coherent aesthetic system in which personal emotion and national ideal are synthesized. This synthesis explains the enduring cultural significance and universal relevance of Petőfi's poetry.

**დოდო მუქერია, მარიამ ტეფნაძე**  
**Dodo Mukeria, Mariam Tepnadze**

**ტურულის ლეგენდა: უნგრული მითოლოგია და  
ეროვნული იდენტობის სიმბოლო**  
**The Turul Legend – Hungarian Mythology and Symbol of  
National Identity**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**ხელმძღვანელი: არპად ელეში**  
**Supervisor: Dr. Árpád Éles**

საკვანძო სიტყვები: უნგრული მითოლოგია, ტურული (ეროვნული სიმბოლო),  
ეროვნული იდენტობა, კულტურა  
**Keywords:** Hungarian mythology, Turul (national symbol), national identity, culture

მითოლოგია ერის სულიერი, კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის ფუნდამენტია, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში ეყდნობოდა უნგრელი ხალხის მსოფლმხედველობა. იგი არ არის მხოლოდ გადმოცემების ერთობლიობა. ეს რთული სისტემაა, რომელიც ცხოვრების წესს, სოციალურ იერარქიასა და ეთიკურ ნორმებს ასახავს.

მითოლოგიურმა ნარატივმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია ეროვნული იდენტობის ფორმირების პროცესზე, რადგან სიმბოლოები ისტორიული რეალობისა და რწმენა-წარმოდგენათა დამაკავშირებელ რგოლებად იქცა. ამ ტრადიციის ფარგლებში ცენტრალური ადგილი უკავია ტურულს – ლეგენდარულ მტაცებელ ფრინველს, რომელიც უნგრული სახელმწიფოებრიობისა და კოლექტიური ცნობიერების სიმბოლოა.

მოხსენებაში ტურულის ფენომენს მულტიდისციპლინურ ჭრილში განვიხილავთ. კვლევის მიზანია, გავანალიზოთ სიმბოლოს ისტორიული გენეზისი, მითოლოგიური საწყისები და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების პროცესში მისი ტრანსფორმაცია. თავდაპირველად განვიხილავთ ტურულის საკრალურ მნიშვნელობას. ის მჭიდროდ უკავშირდება ემემეს სიზმრის ამბავს, რომელიც უნგრული სახელმწიფოებრიობის ფუძემდებლურ მითად მიიჩნევა. ლეგენდის თანახმად, ტურული იყო ღვთაებრივი ძალა, რომელმაც აკურთხა არპადების დინასტია. ამგვარად, ტურული განასახიერებს ღვთიურ მხარდაჭერასა და იდეას, რომ ერს განსაკუთრებული ისტორიული მისია ჰქონდა.

ამას გარდა, მიმოხილულია, თუ როგორაა ასახული ტურული ხელოვნებასა და მონუმენტურ არქიტექტურაში, სადაც იგი წარმოდგენილია, როგორც ძლევამოსილი მცველი, რომელიც ქვეყნის საზღვრების მოდარაჯეა.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ საკუთხს, თუ როგორ იცვლებოდა ტურულის მნიშვნელობა სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში პოლიტიკური კრიზისებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლისას. მაგალითად, XIX საუკუნეში, რომანტიზმის ეპოქაში, ტურული ჰაბსბურგთა იმპერიული გავლენისგან თავის დაღწევისა და ეროვნული სუვერენიტეტის სიმბოლოდ გარდაიქმნა. მას, როგორც საზღვართა მცველს, გამოსახავდნენ მონუმენტურ არქიტექტურულ ძეგლებზე, საზოგადოებრივ შენობებზე და ის ქვეყნის მფარველად მიიჩნეოდა.

ამასთანავე, ტურული განიხილება კოლექტიური ქვეცნობიერის არქეტიპად, რომელიც უნგრულ ხალხს ხიფათისას სიმტკიცეს მატებდა. მან

ფართო გავრცელება პოვა ჰერალდიკასა და ზეპირსიტყვიერებაში, რაც გვარწმუნებს, რომ ერის თვითგადარჩენის ინსტინქტსა და მითოსურ სიმბოლიკას შორის პირდაპირი კავშირია.

მოხსენების დასკვნით ნაწილში განხილულია ტურულის მნიშვნელობა თანამედროვე უნგრულ კულტურულ და სოციალურ დისკურსში. მიუხედავად გლობალიზაციისა და პოსტმოდერნული გამოწვევებისა, ეს ფიგურა კვლავ რჩება ისტორიული მეხსიერების გადაცემის მექანიზმად. ის ეროვნული ერთიანობის სიმბოლოა, რომელიც აკავშირებს ქვეყნის მომთაბარე წარსულს თანამედროვე ევროპულ სახელმწიფოებრიობასთან. ტურული, როგორც არქეტიპი, გამოხატავს უნგრელი ერის სწრაფვას ღირსების, სულიერი სიმტკიცისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებისკენ. საკითხის შესწავლა ცხადყოფს, რომ მითოლოგიური სიმბოლოების გააზრება აუცილებელია ერის კულტურული კოდის ამოსაცნობად და იმ ისტორიული გზის გასააზრებლად, რომელიც უნგრეთმა სახელმწიფოებრიობის შესანარჩუნებლად გაიარა.

Hungarian mythology is a key part of the nation's spiritual, cultural, and historical heritage. For centuries, it has shaped the worldview and identity of the Hungarian people. It is not only a collection of old legends and stories, but a symbolic system that reflects social order, moral values, and beliefs about the universe. Through these myths, historical memory and spiritual meaning are connected. As a result, mythology has played an important role in forming and preserving national identity. Within this tradition, the Turul a legendary bird of prey holds a central place as a symbol of Hungarian statehood and collective consciousness.

This paper examines the Turul from different perspectives, focusing on its historical origins, mythological roots, and symbolic changes over time. Its sacred meaning is closely linked to the story of Emese's dream, which is considered a founding myth of Hungarian statehood. According to legend, the Turul appeared as a divine messenger, and blessed the Árpád dynasty. In this way, the Turul represents divine support and the idea that the nation had a special historical mission.

The study also explores how the meaning of the Turul changed in different historical periods. During times of political crisis and struggles for independence,

the symbol became a source of unity and strength. In the nineteenth century, especially during the Romantic era, the Turul turned into a symbol of resistance against Habsburg rule and a sign of national sovereignty. Its image appeared in art, monuments, and public buildings, where it was shown as a strong guardian protecting the country.

Today, despite globalization and modern challenges, the Turul remains an important national symbol. It connects Hungary's ancient nomadic past with its modern European state and continues to express ideas of dignity, unity, resilience, and cultural identity.

**მარიამ მჭედლიძე, ნიკოლოზ შათირიშვილი**  
**Mariam Mchedlidze, Nikoloz Shatirishvili**

**პეიზაჟი ტალახში: დრო და სივრცე ბელა ტარის**  
**კინომატოგრაფიაში**  
**Landscape in the Mud: Time and Space in the Cinema**  
**of Béla Tarr**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**ხელმძღვანელი: არპად ელეში**  
**Supervisor: Dr. Árpád Éles**

საკვანძო სიტყვები: ტარი, კინო, დრო, სივრცე  
**Keywords: Tarr, cinema, time, space**

ბელა ტარის (Tarr Béla, 1955-2026) გვიანი პერიოდის კინო (1988-2011) ხშირად პოსტსოციალისტური აღმოსავლეთ ევროპის დისტოპიურ ალეგორიად და უნგრული ისტორიული ტრავმის გაციფრებული გამოხატულებად განიხილება. განსაკუთრებით, ფილმები „წყევლა“ (*Kárhozat*, 1988), „შატანტანგო“ (*Sátántangó*, 1994) და „ვერკემისტერის ჰარმონიები“ (2000) ინტერპრეტირებულია, როგორც კომუნიზმის დაშლისა და სოციალური კოლაფსის ვიზუალური ქრონიკები. თუმცა ასეთ ისტორიციულ გაგებას ტარის ესთეტიკა მხოლოდ სოციალურ-პოლიტიკურ კონტექსტამდე დაჰყავს და ნაკლები ყურადღება ეთმობა ხელოვანის ინდივიდუალურ ხედვას, რომლის მეშვეობითაც მისი კინო დროისა და სივრცის სპეციფიკურ გამოცდილებას ქმნის.

მოხსენება ექვეყნეშ აყენებს ამ დისკურსს და აყალიბებს შემდეგ საკვლევ საკითხს: როგორ ქმნის დროისა და პეიზაჟის ურთიერთქმედება ნარატივზე აღმატებულ კინემატოგრაფიულ ფორმას? როგორ გამოხატავს იგი ისტორიული სტაგნაციის გამოცდილებას ბელა ტარის გვიანდელ ფილმებში?

თეორიული ჩარჩო ეფუძნება ჟილ დელეუზის „დრო-ხატის“ (time-image) კონცეფციას, რომელიც ფუნდამენტურადაა განმარტებული მის წიგნში – *Cinema 2: The Time-Image*. დელეუზის მიხედვით, თანამედროვე კინემატოგრაფში დრო აღარ გვევლინება მოძრაობის შედეგად, არამედ უშუალოდ ვლინდება ეკრანზე, რაც ქრონოლოგიური თუ მიზეზშედეგობრივი ლოგიკის რღვევას იწვევს.

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, ვეყრდნობოდი თეატრ და სიუჟეტურ ანალიზს. შერჩეული სცენების დეტალური განხილვა ეფუძნება კადრის ხანგრძლივობის, კამერის მოძრაობის, სივრცის ორგანიზებისა და პერსონაჟთა როლის ანალიზს. ასევე, გამოყენებულია შედარებითი მეთოდი – ტარის დროისა და სივრცის კონცეფცია შედარებულია ანდრეი ტარკოვსკისა და თეო ანგელოპოლუსის ესთეტიკასთან.

მოხსენებაში მივიღივართ დასკვნამდე, რომ ბელა ტარის გვიანდელ ფილმებში ნარატივი, როგორც პროგრესული, მიზეზშედეგობრივი სისტემა, დაიშალა და ჩანაცვლდა ციკლური, გაჭიანურებული დროითი სტრუქტურით. პეიზაჟი ამ სისტემაში ფუნქციონირებს, როგორც დროის მატერიალური ფორმა - სივრცე, რომელიც არ აღწერს მოვლენას, არამედ თვითონ წარმოადგენს სტაგნაციის პროცესს. შედეგად, მა-

ყურებელი აღარ მიჰყვება სიუჟეტურ განვითარებას, არამედ განიცდის ყოფიერების ამაო და განმეორებად ხანგრძლივობას.

The late-period of Béla Tarr's cinema (1988-2011) is often regarded as a dystopian allegory of post-socialist Eastern Europe and digitalized version of Hungarian historical trauma. Especially the films *Damnation*, *Sátántangó*, and *Werckmeister Harmonies* have been interpreted as visual chronicles of the collapse of communism and social disintegration. However, such historicist understanding of Tarr reduces his aesthetics solely to socio-political context and pays little attention to his individual visions, through which his cinema creates a specific experience of time and space.

The study challenges this dominant discourse and formulates the following question: how does the interaction between time and space generate a cinematic form that transcends narrative structure, and how does it convey the experience of historical stagnation in Béla Tarr's late films?

The theoretical framework is based on Gilles Deleuze's concept of time-image, which is fundamentally explained in his book *Cinema 2: The Time-Image*. According to Deleuze, in modern cinema time is no longer the result of movement, but is directly presented on screen, which results in the breakdown of chronological and casual logic. Methodologically, the study draws upon textual and narrative analysis. The close reading of selected scenes focuses on shot duration, camera movement, spatial composition and function and role of the characters. Additionally, a comparative approach is used, situating Tarr's conception of time and space alongside the aesthetics of Andrei Tarkovsky and Theo Angelopoulos.

The paper argues that in the late-films of Tarr, narrative as a progressive, cause-and-effect system has disintegrated and has been replaced by a cyclical, prolonged temporal structure. Within this system, the narrative functions as the material form of time – a space that does not merely depict events, but embodies the very process of stagnation. Consequently, the viewer no longer advances through narrative progression, but instead experiences the futile and repetitive duration of existence.

აიგულ ომაროვა, სევეგიულ ომაროვა  
Aigul Omarova, Sevgiul Omarova

**უნგრული ფოლკლორის ძირითადი მახასიათებლები**  
**Hungarian Folklore and its Main Characteristics**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ხელმძღვანელი: არპად ელეში  
Supervisor: Dr. Árpád Éles

საკვანძო სიტყვები: უნგრული ფოლკლორი ,მითოლოგია ,ზეპირი ტრადიცია,  
ზღაპრები, ხალხური მუსიკა და ცეკვა, ეროვნული იდენტობა  
Keywords- Hungarian folklore, mythology, oral tradition, folk tales, folk music and  
dance, national identity

უნგრული ფოლკლორი უნგრელი ხალხის სულიერი და კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილია. იგი მოიცავს ზეპირ ხალხურ შემოქმედებას – ლეგენდებს, ზღაპრებს, თქმულებებს, ხალხურ სიმღერებს, ცეკვებს, რიტუალებსა და ტრადიციებს. ფოლკლორი არა მხოლოდ ესთეტიკური ღირებულების მატარებელია, არამედ ასახავს ერის ისტორიულ გამოცდილებას, მსოფლმხედველობასა და სოციალურ ურთიერთობებს.

უნგრული ზღაპრები ხშირად დაკავშირებულია მითოლოგიურ წარმოდგენებთან. მათში გვხვდებიან ზებუნებრივი არსებები, გმირები, მეფეები, ჯადოქრები და მითიური ცხოველები. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული პერსონაჟია ტალტოში (Táltos) – განსაკუთრებული ძალის მქონე ადამიანი, რომელიც ხშირად ადამიანებსა და ზებუნებრივ სამყაროს შორის შუამავლის როლს ასრულებს. ასეთი პერსონაჟები მიუთითებენ უნგრელთა ძველ შამანურ რწმენა-წარმოდგენებზე.

უნგრულ ფოლკლორში ხალხურ სიმღერებსა და ცეკვებს განსაკუთრებული ადგილი უკავია. მაგალითად, „ჩარდაში“ (Csárdás) არის ტრადიციული უნგრული ცეკვა, რომელიც დინამიკურობითა და ემოციურობით გამოირჩევა. ხალხური სიმღერები ხშირად სიყვარულის, თავისუფლებისა და სამშობლოსადმი ერთგულების თემას ეძღვნება. მუსიკალურ ტრადიციაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კომპოზიტორმა ბელა ბარტოკმა (Bartók Béla, 1881-1945), რომელმაც უნგრული ხალხური მელოდიები შეაგროვა და შეისწავლა.

უნგრული ფოლკლორი მჭიდროდ არის დაკავშირებული ქვეყნის ისტორიასთან, განსაკუთრებით, უნგრეთის მრავალსაუკუნოვან ბრძოლებსა და ეროვნულ თვითშეგნებასთან. ფოლკლორული ტექსტები ხშირად ასახავს თავისუფლებისთვის ბრძოლას და ეროვნული იდენტობის შენარჩუნების სურვილს.

ამრიგად, უნგრული ფოლკლორი არის არა მხოლოდ წარსულის მემკვიდრე, არამედ თანამედროვე კულტურის მნიშვნელოვანი საფუძველია. მისი შესწავლა გვაძლევს შესაძლებლობას, უკეთ გავიგოთ უნგრელი ერის ისტორია, ტრადიციები და სულიერი ფასეულობები.

Hungarian folklore represents an essential part of the spiritual and cultural heritage of the Hungarian people. It encompasses a wide range of oral traditions, including myths, legends, folktales, ballads, folk songs, dances, rituals, and customs. Folklore is not only an artistic expression but also a reflection of historical experience, collective memory, and national identity.

Hungarian folktales are deeply connected with ancient mythological beliefs. They often feature supernatural beings, heroic figures, kings, witches, dragons, and magical animals. One of the most significant mythological characters is the “Táltos,” a figure possessing special spiritual powers who serves as a mediator between the human and supernatural worlds. The presence of such characters reveals traces of early shamanistic beliefs that existed among ancient Hungarian tribes before the adoption of Christianity.

Folk music and dance occupy a central place in Hungarian folklore. The traditional dance known as “Csárdás” is characterized by its emotional intensity, rhythmic variation, and dynamic movements. Hungarian folk songs often express themes of love, freedom, longing, and attachment to the homeland. In the field of ethnomusicology, the work of Béla Bartók (1881–1945) was especially important. He collected and studied numerous folk melodies, preserving them as a valuable cultural treasure.

Hungarian folklore is closely linked to the historical struggles of Hungary, particularly the nation’s fight for independence and cultural survival. Many folk narratives symbolize resistance, bravery, and the preservation of national identity in times of foreign domination.

In conclusion, Hungarian folklore is not merely a remnant of the past but a living cultural foundation that continues to influence modern Hungarian art, literature, and music. The study of folklore provides insight into the worldview, values, and historical consciousness of the Hungarian people, making it an important field of cultural and literary research.

სალომე სანდროშვილი  
Salome Sandroshvili

სხეულთან გაუცხოება და იდენტობის რღვევა  
ფრიდემ კარინთის ტექსტში „მოგზაურობა ჩემი თავის  
ქალის გარშემო“  
Alienation from the Body and Fragmentation of Identity in  
Frigyes Karinthy's "A Journey Around My Skull"

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ხელმძღვანელი: არპად ელემი  
Supervisor: Dr. Árpád Éles

საკვანძო სიტყვები: ფრიდემ კარინთი, დეპერსონალიზაცია, დისოციაცია,  
სხეულგაუცხოება, იდენტობის კრიზისი, სამედიცინო ნარატივი  
Keywords: Frigyes Karinthy, depersonalization, dissociation, bodily alienation, identity  
crisis, medical narrative

მოხსენება შეეხება უნგრელი მწერლის, ფრიდემ კარინთის (უნგრულად, Karinthy Frigyes, 1887-1938), ავტობიოგრაფიული თხზულებების – „მოგზაურობა ჩემი თავის ქალის გარშემო“ (*Utazás a koponyám körüli*, 1936) – ანალიზს დეპერსონალიზაციისა და ფსიქიკური დისოციაციის თეორიულ ჭრილში. წიგნი 1989 წელს ქართულ ენაზე თარგმნა მანანა სალამემ და პირველად დაიბეჭდა გამომცემლობა „მერანში“. ეს ტექსტი უნიკალური ლიტერატურული დოკუმენტია, რომელშიც ავტორი დეტალურად აღწერს თავის ტვინის სიმსივნით გამოწვეულ პათოლოგიურ ცვლილებებს არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ ეგზისტენციალურ დონეზე.

მოხსენება, ძირითადად, ფოკუსირებულია სხეულმბრვი გაუცხოების ფენომენზე. კარინთის ნარატივში საკუთარი სხეული, კერძოდ კი, თავის ქალა და მასში მიმდინარე პროცესები, ავტონომიურ, მტრულ და უცხო ობიექტად აღიქმება. ნაშრომში განხილულია, თუ როგორ იწვევს სენსორული დისფუნქცია (აუდიტორული ჰალუცინაციები, წონასწორობის დაკარგვა) იდენტობის რღვევას – მდგომარეობას, როდესაც სუბიექტი საკუთარ თავს გარედან აკვირდება.

მოხსენების თეორიულ საფუძველს წარმოადგენს დეპერსონალიზაციის ფსიქოლოგიური მოდელები, რომელთა მეშვეობითაც ვაანალიზებთ კარინთის „ორმაგ ხედვას“: ის ერთდროულად უმწეო პაციენტიცაა და ცივი, რაციონალური დამკვირვებელიც. ეს დისოციაციური გაორება ავტორს გადარჩენის ერთადერთ მექანიზმად ევლინება, რათა შეინარჩუნოს ინტელექტუალური მთლიანობა ფიზიკური ნგრევის პროცესში.

მიმოხილვისას ყურადღება ეთმობა ნაწარმოების მნიშვნელობას მედიცინის ჰუმანიზაციის კონტექსტში. კარინთის ტექსტი განიხილება, როგორც ერთგვარი ხიდი ავადმყოფის სუბიექტურ გამოცდილებასა და ობიექტურ სამედიცინო დისკურსს შორის. კვლევის შედეგად დგინდება, რომ ავტობიოგრაფიული თხრობა ავტორს საშუალებას აძლევს, დაიბრუნოს კონტროლი საკუთარ სხეულზე, რომელიც სიმსივნეს აქვს ოკუპირებული. ამგვარად, წერა ინტერპრეტირებულია, როგორც თერაპიული აქტი, რომელიც დისოციაციას სიმპტომიდან შემოქმედებით ინსტრუმენტად გარდაქმნის.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კარინთის „მოგზაურობა“ არის არა მხოლოდ კლინიკური შემუარები, არამედ სხეულსა და

გონებას შორის არსებული მყიფე კავშირის ფილოსოფიური მანიფესტი, სადაც იუმორსა და ირონიას დეპერსონალიზაციის დამღვევის ფუნქცია ენიჭება. აქვე უნდა ითქვას, რომ კარინთი თავად იყო მთარგმნელი. სწორედ მან თარგმნა უნგრულად ჯონათან სვიფტის შემოქმედება, რამაც დიდი გავლენა იქონია მის ტექსტებსა და იუმორზე.

The present paper is dedicated to the analysis of the autobiographical work “A Journey Around My Skull” (*Utazás a koponyám körül*, 1936) by the Hungarian writer Frigyes Karinthy (1887 – 1938), within the theoretical framework of depersonalization and psychological dissociation. The book was translated into Georgian by Manana Saladze and published by “Merani” in 1989. The text represents a unique literary document in which the author provides a detailed account of the pathological changes caused by a brain tumor, unfolding not only on a physical but also on an existential level.

The primary focus of the research is directed toward the phenomenon of bodily alienation. In Karinthy’s narrative, his own body – specifically the skull and the processes occurring within it – is perceived as an autonomous, hostile, and “alien” object. The paper examines how sensory dysfunction (auditory hallucinations, loss of balance) triggers a fragmentation of identity – a state in which the subject observes themselves from an external perspective.

The theoretical foundation of the work consists of psychological models of depersonalization, through which we analyze Karinthy’s “double vision”: he is simultaneously a helpless patient and a cold, rational observer. This dissociative split becomes the author’s sole survival mechanism to maintain intellectual integrity amidst the process of physical collapse.

The paper further explores the significance of the work within the context of the “humanization of medicine”. Karinthy’s narrative serves as a bridge between the subjective experience of illness and objective medical discourse. Our research suggests that the autobiographical narrative allows the author to reclaim control over a body “occupied” by a tumor. In this sense, writing is interpreted as a therapeutic act that transforms dissociation from a mere symptom into a creative instrument.

In conclusion, the argument is presented that Karinthy’s “Journey” is not merely a clinical memoir but a philosophical manifesto regarding the fragile

connection between body and mind, where humor and irony are assigned the function of overcoming depersonalization. It should be noted that Karinthy was a translator himself and he pioneered in translation of the works of Jonathan Swift into Hungarian, the works which vastly impacted his texts and the humoristic approach in them.

ინა ტყეშელაშვილი, ანი ტჩივარია  
Ina Tkeshelashvili, Ani Tchigvaria

ორი 'ეროვნული პოეტი' - ილია ჭავჭავაძე, შანდორ  
პეტეფი - პოეტისა და პოეზიის დანიშნულებაზე  
Two "National Poets" – Ilia Chavchavadze, Sándor Petőfi – On  
the Purpose of the Poet and Poetry

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ხელმძღვანელი: არპად ელეში  
Supervisor: Dr. Árpád Éles

საკვანძო სიტყვები: ილია ჭავჭავაძე, შანდორ პეტეფი, პოეტი, პოეზია,  
ეროვნულობა

Keywords: Ilia Chavchavadze, Sándor Petőfi, poet, poetry, nationality

შიძლება ითქვას, რომ ორი ეროვნული პოეტის – ილია ჭავჭავაძის (1837-1907) და შანდორ პეტეფის (Petőfi Sándor, 1823-1849) – შემოქმედება ის ხიდია, რომელიც უნგრულ და ქართულ კულტურას ერთმანეთთან აკავშირებს. მართლაც, ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ მათ აკავშირებს უმნიშვნელოვანესი რამ – სამშობლოს სიყვარული, პოლიტიკური ლიდერის როლი, სამშობლოსათვის თავგანწირვა, ერთი სიტყვით, ეროვნული სული. პეტეფი, რომელმაც თავი შესწირა უნგრეთის თავისუფლებას, უნგრეთის რევოლუციის შემდეგ გარდაიცვალა ახალგაზრდა ასაკში. ილია ჭავჭავაძემ, მასთან შედარებით, დიდხანს იცოცხლა, თუმცა ის, როგორც რუსეთის მმართველობასა და პოლიტიკურ გავლენასთან თავდაუზოგავი მებრძოლი, 1907 წელს მოკლეს. ამის გათვალისწინებით, ერთიგ და მეორეც შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც საკუთარი ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლას შეწირული გმირი.

მათი შემოქმედება, ერთი მხრივ, ღირებულია ლიტერატურული თვალსაზრისით, სხვა მხრივ კი, მნიშვნელოვანია, როგორც ეროვნული ბრძოლის სიმბოლო. ილია ჭავჭავაძე, XIX საუკუნის დიდი ქართველი მწერალი, ეროვნული მოძრაობის ლიდერია ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეებით. ის აქტიურად მონაწილეობდა სტუდენტთა გამოსვლებში ისევე, როგორც შანდორ პეტეფი. როგორც თვითონ ვკაუწყებს, ადამიანისთვის სამი რამ არის მნიშვნელოვანი: მამული, ენა და სარწმუნოება. მაშასადამე, შიძლება ითქვას, რომ ილია ისტორიის ფურცლებს შემორჩა, როგორც ყველა დროის უდიდესი ლიბერალი. ცნობილია, რომ შანდორ პეტეფი აქტიურად მონაწილეობდა 1848 წლის რევოლუციაში და თავისი ლექსებით ეხმებოდა უნგრეთის დამოუკიდებლობისკენ სწრაფვას. საინტერესოა, თუ რა დასკვნამდე მივყავართ ამ ორი მწერლის შემოქმედების შედარებით ანალიზს, რამდენად ემთხვევა ერთმანეთს პოეტისა და პოეზიის დანიშნულების საკითხზე მათი შეხედულებები. ერთიგ და მეორეც მიიჩნევა, რომ პოეზია ის იარაღია, რომელიც მწერალს საშუალებას აძლევს, იყოს „გარემოების საყვირი“. პოეტისა და პოეზიის დანიშნულებაზე ბევრი საუბრობს, თუმცა ცოტას ძალუძს, თავად იყოს ჭეშმარიტი პოეტი. მოხსენებაში ასევე გაანალიზებულია პოეზია, როგორც კულტურული ფენომენი და წარმოჩენილია ის ფაქტი, რომ ილია ჭავჭავაძისა და შანდორ პეტეფის შემოქმედება, როგორც ეროვნული კულტურის უმნიშვნელოვანესი ნაწილი, კვლავაც არის სამომავლო დისკუსიის საგანი.

We consider two national poets – Ilia Chavchavadze (1837 – 1907) and Sándor Petőfi(1823–1849) – as a bridge between Hungarian and Georgian cultures, because the analysis revealed that they are united by a significant thing, the national spirit. Love for the homeland, leadership in political issues, self-sacrifice and death for the homeland. Petőfi died young after the Hungarian Revolution, sacrificing himself for the freedom of Hungary. Ilia lived longer than Sándor, but was assassinated in 1907 due to political influence and opposition to Russian rule. He is a great Georgian writer of the 19th century and a leader of the national movement, with national-liberation ideas. As he himself tells us, three things are important to a person: language, homeland, and faith. Because of these teachings, Ilia remained in the pages of history as the greatest liberal of all time. He actively participated in student revolutions, just like Petőfi. It is known that Petőfi actively participated in the 1848 revolution and expressed Hungary's desire for independence with his poems. In order to determine what national poets thought about other poets and poets in general, we compared Ilia Chavchavadze's poems "Poet" and "My Pen" with Sándor Petőfi's poem "Poets of the 19th Century" and determined whether their opinions coincided with each other. The comparative analysis results are interesting for both cultures. Based on their social backgrounds it is worth questioning if their worldviews on the purpose of poets and poetry coincide, since both used poetry as a weapon to be trumpeters of circumstances for their homelands. The work also aims to recognize the value of poetry as a cultural phenomenon and to emphasize the fact that the works of Chavchavadze and Petőfi will forever remain an important part of the national culture, which will be the subject of fruitful discussion in future generations.

ნინო ფანცხავა, ლიკა შუბითიძე  
Nino Pantskhava, Lika Shubitidze

ქალის სახის ტრანსფორმაცია უნგრულ სახვით  
ხელოვნებაში  
The Transformation of the Female Face  
in Hungarian Fine Art

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ხელმძღვანელი: არპად ელემი  
Supervisor: Dr. Árpád Éles

საკვანძო სიტყვები: უნგრული ფერწერა XIX-XX საუკუნეებში  
Keywords: Hungarian painting in the 19th and 20th centuries

ქალის სახე უნგრული სახვითი ხელოვნებისათვის არა მხოლოდ ესთეტიკური ძიებაა, არამედ ის სარკვევ, რომელშიც ირეკლება კულტურული და სულიერი ტრანსფორმაციები. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან XX საუკუნის დასაწყისამდე ქალის რეპრეზენტაციამ უნგრულ ვიზუალურ ხელოვნებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა და მასში აისახა ეპოქის ესთეტიკური და სოციალური ძვრებიც. ჩვენი მოხსენება ეყრდნობა მიხაი მუნკაჩის, პოლ სინეი მერსის, კაროლ ფერენცისის, იშტვან ჩოკი ლაიომ ტიჰანისა და ჩონტვარი კოსტა ტივადარის შემოქმედებათა ანალიზს.

მოხსენების ძირითადი თეზისი ისაა, რომ ქალის სახე უნგრულ მხატვრობაში რეალისტური, სოციალურ-ფსიქოლოგიური ტიპაჟიდან სიმბოლურ და ექსპრესიულ ფორმამდე ვითარდება. ამ პროცესში ის თანდათან კარგავს მხოლოდ ყოფითი პორტრეტის ფუნქციას და იძენს მეტაფორულ, ემოციურ და ფილოსოფიურ დატვირთვას.

მიხაი მუნკაჩის რეალისტურ მხატვრობაში ქალის სახე სოციალური სინამდვილის გამომხატველი ელემენტია. იმპრესიონისტულ-ნატურალისტურ ტენდენციათა ფარგლებში (Szinyei Merse Pál, 1845-1920; Ferenczy Károly, 1862-1917) ის თავს აღწევს მკაცრ ნარატიულ ჩარჩოს და ხდება ფერის, სინათლისა და ატმოსფეროს ნაწილი. აქ პრიორიტეტულია განწყობა და ვიზუალური ჰარმონია, რის შედეგადაც ქალი ლირიკულ, ბუნებასთან შერწყმულ არსებად წარმოჩინდება. იშტვან ჩოკის (Csák István, 1865-1961) შემოქმედებაში შეიმჩნევა დეკორატიულობისა და ესთეტიზაციის გაძლიერება. ლაიომ ტიჰანის (Tihanyi Lajos, 1885-1938) ექსპრესიონიზმი არღვევს ტრადიციულ ფორმას და პროპორციას. ქალის სახე დეფორმირდება, ხაზები მახვილდება, ფერები ინტენსიურდება, რაც გამოხატავს შინაგან დამაბულობასა და თანამედროვე ეპოქის კრიზისს. ჩონტვარი კოსტა ტივადარის (Csontváry Kosztka Tivadar, 1853-1919) სიმბოლისტურ ხედვაში ქალი ცდება კონკრეტულ პორტრეტულ იდენტობას და გარდაიქმნება უნივერსალურ, სულიერ სიმბოლოდ.

შესაბამისად, ამ პერიოდის უნგრულ ხელოვნებაში ქალის სახის ტრანსფორმაცია ააშკარავებს გადასვლას რეალიზმიდან მოდერნიზმზე და წარმოაჩენს, თუ როგორ გარდაიქმნება ქალი სოციალური ტიპაჟიდან მრავალშრიან სიმბოლოდ, რომელიც გამოხატავს როგორც ეპოქის ესთეტიკურ ძიებებს, ისე კულტურულ თვითშეგნებას.

The depiction of the female face in Hungarian fine art is not only an aesthetic pursuit but also a mirror reflecting cultural and spiritual transformations. In Hungarian visual art, from the second half of the nineteenth century to the beginning of the twentieth century, the representation of the female face underwent significant changes, and this transformation reflects the aesthetic and social shifts of the era. The study is based on an analysis of the works of Mihály Munkácsy, Pál Szinyei Merse, Károly Ferenczy, among others, to trace this transformative journey.

The main thesis argues that the depiction of the female face in Hungarian painting evolves from a realistic, socio-psychological typology toward a symbolic and expressive form, in which the woman gradually loses her solely everyday portrait function and acquires metaphorical, emotional, and philosophical significance.

In the realism of Mihály Munkácsy, the female face serves as an element reflecting social reality. Within impressionist-naturalist tendencies, the female face is freed from rigid narrative frameworks and becomes part of color, light, and atmosphere. Here, mood and visual harmony take priority, resulting in the woman being presented as a lyrical presence merged with nature. In the work of István Csók, a strengthening of decorativeness and aestheticization can be observed. The expressionism of Lajos Tihanyi breaks traditional form and proportion. The female face becomes distorted, lines are sharpened, and colors intensified, reflecting inner tension of the modern era. In the symbolist vision of Tivadar Csontváry Kosztka, the woman transcends a specific portrait identity and is transformed into a universal, spiritual symbol.

Accordingly, the transformation of the female face in Hungarian art during this period reflects the transition from realism to modernism and demonstrates how the woman evolves from a social type into a multilayered symbol that expresses both the aesthetic explorations of the era and cultural self-awareness.



